პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 121 (10515)

პარასკევი 25 მაისი 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

ნ. ა. ბულგანინმა, ნ. ს. ხრუშჩოვმა და ვ. მ. მოლოტოვმა მიიღეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ქ. პინო (1-ლი გვერდი).
ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღეს ინდონეზიის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე ბ-ნი სარტონო (1-ლი გვერდი).
აგიტატორის საუბარი. — ზ. ბასილაშვილი. — პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საერთო-სახალხო მნიშვნელობა (მე-2 გვერდი).
ს. არღუნელი. — საბჭოთა ახალგაზრდობის მორალური სახე (მე-3 გვერდი).
ბ. გულისაშვილი. — გავაახლოთ და გავაჯანსაღოთ საქართველოს ტყეები (მე-3 გვერდი).
ბ. ბახტურიძე. — მონოგრაფია დიდ მხატვარზე (მე-3 გვერდი).
მ. კვესელავა. — დიადი თანამეგობრობა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## ძირეულად გავაუმჯობესოთ მუშაობა ხორცის წარმოებისა და დამზადების ორგანიზაციისათვის

როგორც „პრავდა“ უკვე იუწყებოდა, 17-18 მაისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი ხორცის წარმოების გადიდებისა და დამზადების საკითხებზე. თათბირის მონაწილეებმა ღრმად და ყოველმხრივ განიხილეს გადაუდებელი ამოცანები: ხორცის წარმოების გადიდება და დამზადების გეგმის შესრულების უზრუნველყოფა 1956-1957 წლებში, ხორცის მრეწველობის საწარმოებში პირუტყვის მიღებისა და გადამუშავების გაუმჯობესება.

ამ თათბირის მოწვევა გვიჩვენებს, თუ რა მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების და მისი ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგის ყოველი ღონისძიებით აღმავლობისათვის, როგორიც არის მეცხოველეობა. პარტიის XX ყრილობის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასადიდებლად. სამეურნეო წლის შვიდ თვეში, მაგალითად, რძის საერთო პროდუქცია კოლმეურნეობებში გადიდდა 2.231 ათასი ტონით, ანუ 59 პროცენტით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ზაპოროჟიეს ოლქის კოლმეურნეობებში მან შეადგინა 264 პროცენტი, დნეპროპეტროვსკის ოლქში — 259, ხერსონისაში — 238, ნიკოლაევისაში — 229, ვორონეჟისა და სტალინოს ოლქებში — 226 პროცენტი და ა. შ.

მთელ რიგ რაიონებში გადიდდა ხორცის, განსაკუთრებით ღორის ხორცის წარმოება. უკრაინის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა გაასუქეს დაახლოებით ორი მილიონი ღორი — ათეულ ათასობით მეტი, ვიდრე მთელ გასულ წელს. წარმატებით მოაწყო ღორის გასუქება მოლდავეთის სს რესპუბლიკის ბევრმა კოლმეურნეობამ. აქ ცოტა როდია ისეთი მეურნეობები, რომლებმაც უკვე ჩააბარეს სახელმწიფოს ერთნახევარჯერ-ორჯერ მეტი ღორის ხორცი, ვიდრე მთელ გასულ წელს.

ასეთი მაგალითი ასობით შეიძლება მოვიყვანოთ. ისინი გვიჩვენებენ, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უდიდესი რეზერვები აქვთ, რათა გაადიდონ ხორცის წარმოება, ყველა შესაძლებლობა აქვთ პარტიის XX ყრილობის დავალებანი შეასრულონ არა 1960 წელს, არამედ გაცილებით უფრო ადრე — უახლოეს 2-3 წელიწადში.

ამავე დროს ეს მდიდარი შესაძლებლობანი დამაკმაყოფილებლად არ არის გამოყენებული ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ხორცის წარმოებისა და დამზადების ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არის დიდი ნაკლოვანებანი. მათგან მთავარია თვითდინება ამ საქმეში. ამჟამად შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა არ იციან, რამდენსა და რა სახეობის პირუტყვს გაასუქებენ და ჩააბარებენ თვის, კვარტალის, ნახევარი წლის, მთელი წლის განმავლობაში; რამდენი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ღორი, ფრინველი იქნება საჭირო ამისათვის; რამდენი საკვები დასჭირდება კოლმეურნეობას ან საბჭოთა მეურნეობას და რა რესურსებით უნდა დაიფაროს ეს მოთხოვნილება. რაკი არა აქვთ მოფიქრებული, ეკონომიურად დასაბუთებული გაანგარიშებანი, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები პირუტყვს ხშირად შემთხვევით ასუქებენ, ერთ კვარტალში აბარებენ წლიური გეგმის 60-70 პროცენტს, სხვა კვარტალებში კი თითქმის არ მონაწილეობენ ხორცის ჩაბარებაში.

განა არ ადასტურებს ამას, მაგალითად, ის ფაქტი, რომ 10 მაისისათვის ხორცის დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა ლიტვის სს რესპუბლიკაში შესრულებულია 33 პროცენტით, რუსეთის სფს რესპუბლიკაში — 39 პროცენტით, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — 46 პროცენტით? ბელორუსიის ბუდა-კოშელოვოს, ლოევის, როგაჩევის, ბორისოვისა და სმოლევიჩის რაიონებში 50-ზე მეტ კოლმეურნეობას პირველ კვარტალში ხულაც არ მიუღია მონაწილეობა სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარებაში. განა ცხადი არ არის, რომ აღნიშნული რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა ხორცის წარმოებისა და დამზადების უმნიშვნელოვანესი საქმე თვითდინებას მიანდეს?

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწვეულ თათბირზე აღინიშნა, რომ მტს-ები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ხორცის წარმოებისა და დამზადების ორგანიზაციის დარგში, რასაც პარტიული ორგანიზაციები ველარ შეურიგდებიან.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რომ ბოლო მოუღონ ასეთ არაორგანიზებულობას და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ მთელი მუშაობა ხორცის წარმოებისა და დამზადებისათვის, ამ მუშაობას საფუძვლად დაუდონ მტკიცე გეგმიანი საწყისი.

ამ მხრივ უკრაინაში დაგროვებულია დადებითი გამოცდილება, რომლის გამოყენებაც საშუალებას მოგვცემს ახლებურად მოვაწყოთ ხორცის წარმოება და დამზადება. უკრაინის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ხორცის წარმოებისა და დამზადების საერთო-სახელმწიფოებრივ გეგმიან დავალებათა შესაბამისად, ამუშავებენ პირუტყვის გარკვეულ სახეობათა და საჭირო რაოდენობით საძოვარზე და ბაგაზე გასუქების კონკრეტულ გეგმებს თვეების, კვარტალებისა და ექვსთვიურების მიხედვით. უფრო მეტიც: ისინი ახლავე აკეთებენ ეკონომიურად დასაბუთებულ გაანგარიშებას, რამდენი ხორცი უნდა აწარმოონ და ჩააბარონ სახელმწიფოს მომავალი წლის გარკვეულ პერიოდებში. ასეთი გეგმები რომ აქვთ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა მტკიცედ იციან, რამდენი მოზარდეული უნდა გაასუქონ ამა თუ იმ პერიოდში, საიდან უნდა მოიყვანონ იგი, რამდენი დასჭირდებათ საკვები, რა საკვები კულტურები და რა ოდენობით უნდა დათესონ. ასეთ გაანგარიშებებს განიხილავენ კოლმეურნეობების გამგეობათა სხდომებზე, შემდეგ კი გააცნობენ ხოლმე თვითეულ კოლმეურნეს.

დადებითი მაგალითები სხვა რესპუბლიკებშიც გვაქვს. ამას წინათ „პრავდაში“ გაშუქებული იყო როსტოვის ოლქის ტაგანროგის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამოცდილება. კოლმეურნეებმა შეიმუშავეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ფრინველის გასუქების ეკონომიურად დასაბუთებული გეგმა თვეებისა და კვარტალების მიხედვით, გაითვალისწინეს საჭირო საკვების წარმოება, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოსათვის ხორცის გარკვეული რაოდენობის ჩაბარებას, მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარებაში სეზონურობის ლიკვიდაციას.

უკრაინის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, რუსეთის ფედერაციისა და სხვა რესპუბლიკების მოწინავე მეურნეობების თაოსნობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახელმწიფოსათვის. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხორცის გეგმიანი წარმოების შემოღება მტკიცე საფუძველს შეუქმნის იმას, რომ შეუფერხებლად მომარაგდეს ჩვენი ქვეყანა ხორცით და ხორცის პროდუქტებით, განუწყვეტლივ იზრდებოდეს მათი წარმოება. თავისთავად გასაგებია, რომ ასეთი გეგმების შესრულება სისტემატურად უნდა შეამოწმონ პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა. ამასთანავე საჭიროა დავადგინოთ აღრიცხვის გარკვეული წესი, რათა კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, პარტიის რაიონული, საოლქო და სამხარეო კომიტეტების მდივნებს მუდამ ჰქონდეთ იმის სრული სურათი, თუ რა მდგომარეობაშია პირუტყვის გასუქება, მისი ჩაბარება სახელმწიფოსათვის და როგორია მოზარდეულის მატება. ეს საშუალებას მისცემს მათ განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ამა თუ იმ მეურნეობაში.

იბრძვიან რა ხორცის წარმოების გადიდებისათვის, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ყურადღება უნდა მიაქციონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა რეზერვის რაც შეიძლება სრულად გამოყენებას. ამ უკანასკნელ ხანს მთელ რიგ ოლქებსა და რესპუბლიკებში მიღწეულია ერთგვარი წარმატებანი მეღორეობის განვითარებაში. ამავე დროს ცოტა როდია ისეთი ოლქები, სადაც მეღორეობის განვითარებას ჯერ კიდევ არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება, არ სრულდება ღორის გასუქებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა.

არ შეიძლება აგრეთვე არ აღვნიშნოთ, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა შეასუსტეს ყურადღება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, განსაკუთრებით მისი სახორცე კონტინგენტების მოშენებისადმი. ამის შედეგად დაშვებულია სულადობის სრულიად გაუმართლებელი შემცირება მთელ რიგ რაიონებში, მათ შორის ლიტვის, ლატვიის, საქართველოს, ესტონეთის სს რესპუბლიკებში, ჩკალოვისა და სხვა ოლქებში. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ამცირებენ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობას, ძირს უთხრიან ხორცის წარმოების გადიდების თავიანთ ბაზას. საჭიროა განვახორციელოთ ღონისძიებანი, რომ არა მარტო აღვადგინოთ, არამედ მნიშვნელოვნადაც გავზარდოთ საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. საკუთარი ჯოგის კვლავწარმოებასთან ერთად კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ფართოდ უნდა შეისყიდონ მოზარდეული კოლმეურნეებისაგან, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან როგორც გასასუქებლად, ისე ფერმების შესავსებად.

ხორცის წარმოების გადიდების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი რეზერვია ფრინველის მოშენება. თითქოს ამ ჭეშმარიტებას მტკიცება არ ესაჭიროება. პირობები საშუალებას აძლევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჰქონდეთ ქათმის არა მარტო დიდი ფერმები, არამედ ამასთანავე ჰყავდეთ იხვის, ბატისა და ინდაურის დიდი გუნდები. სამწუხაროდ, მეფრინველეობა დღემდე ჯეროვნად არ არის შეფასებული. ეს განსაკუთრებით ჩანს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების მაგალითით. მიუხედავად პარტიისა და მთავრობის არაერთგზისი მითითებისა, სამინისტროს ხელმძღვანელებს არ მიუღიათ ქმედითი ღონისძიებანი მეფრინველეობის განვითარებისათვის საბჭოთა მეურნეობებში. სამინისტროს სისტემაში არის საბჭოთა მეურნეობები, რომლებსაც მეტად წვრილი ფერმები აქვთ, სადაც ძალიან დაბალია ფრინველის პროდუქტიულობა. მეტად საკვირველია, მაგრამ ასეთ ფაქტებს სრული გულგრილობით ეკიდებიან სამინისტროს ხელმძღვანელები.

ხორცის წარმოების გადიდების არსებითი საშუალებაა პირუტყვის მიღების სწორი ორგანიზაცია და მისი დროული გადამუშავება ხორცის მრეწველობის საწარმოებში. დღემდე უყაირათობის გამო ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში დაშვებულია განსაკუთრებით დიდი დანაკარგი პირუტყვისა, რაც ათეულ ათასობით ტონა ცოცხალ წონას შეადგენს. სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს ბოლო მოვუღოთ ასეთ უყაირათობას, ჯეროვანი წესრიგი დავამყაროთ თვითეულ საწარმოში.

მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქების მოწინავე საბჭოთა მეურნეობების მაგალითისამებრ ფართოდ უნდა გამოვიყენოთ კვების ნარჩენები პირუტყვის გასასუქებლად.

ახლა ხორცის წარმოებისა და დამზადების ორგანიზაციის ერთ-ერთი პასუხსაგები პერიოდია. საჭიროა უწინარეს ყოვლისა უზრუნველვყოთ, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ უთუოდ შეასრულოს დამზადების ნახევარი წლის, შემდეგ კი მთელი წლის გეგმა. ამასთანავე უნდა შევქმნათ პირობები ხორცის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის მომავალ წელს. ჩვენი ქვეყნის მოწინავე რაიონების გამოცდილება ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის გზებს გვიჩვენებს.

„პრავდის“ 24-V მოწინავე.

## ნ. ა. ბულგანინმა, ნ. ს. ხრუშჩოვმა და ვ. მ. მოლოტოვმა მიიღეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ქ. პინო

24 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა გამოსათხოვარი ვიზიტით მიიღეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ქ. პინო.

ბ-ნ პინოს ახლდა საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი მ. დეჟანი.

მიღებას დაესწრო სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვი. (საკდესი).

## ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღეს ინდონეზიის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე ბ-ნი სარტონო

24 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღეს ინდონეზიის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე ბ-ნი სარტონო.

ბ-ნ სარტონოს ახლდნენ: პარლამენტის თავმჯდომარის მესამე მოადგილე (მაშუმის პარტიისაგან) ზაინალ აბიდინ აჰმადი, ნახდატულ ულამის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე აბუ ბაქარ ალვი ახსინი, ინდონეზიის მუსლიმთა კავშირის საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენელი მახბუდინ ლატიფი, აგრეთვე ინდონეზიის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში, ბ-ნი რ. მ. დარმანტო.

ნ. ა. ბულგანინს, ნ. ს. ხრუშჩოვსა და ბ-ნ სარტონოს შორის გულითადი მეგობრული საუბარი გაიმართა. (საკდესი).

## თბილისს ჩამოვიდა დანიის ფოლკეტინგის დელეგაციის წევრთა ჯგუფი

24 მაისს საღამოს საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა დანიის ფოლკეტინგის დელეგაციის წევრთა ჯგუფი, რომელსაც ჰეთაურობს ფოლკეტინგის თავმჯდომარე გუსტავ პედერსენი. დელეგაციაში შედიან ე. ენსენი, ს. ჰორნი, ა. ენსენი, ე. სენდერუპი, ი. იორგენსენი, ჰ. მელერი.

დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა დანიის ელჩი სსრ კავშირში ა. მერკი ნიეულითურთ.

თბილისის აეროპორტი მორთული იყო დანიის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით. სტუმრებს შეხვდნენ: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. დ. კუპრაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. ს. როსტიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ქ. ს. ციმაკურიძე და გ. ი. ჩოგოვაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კ. მაღრაძე, საქართველოს სსრ მინისტრები ა. ლ. გუნია, ბ. ა. ჩხეიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, ა. ე. მელაძე, ა. ა. გიგოშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. ბ. აბაშიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ნ. ა. ჯავახიშვილი, უ. მ. ჯაფარიძე, ა. მ. ბალანჩივაძე, დ. ს. მჭედლიძე, თ. ნ. მრევლიშვილი, ბ. ვ. ლორთქიფანიძე, საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ვ. ა. ქიქოძე, ჟურნალისტები.

ბავშვებმა ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს ჩამოსულთ.

დანიის პარლამენტარიებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. დ. კუპრაძემ.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სახელით მან ღრმა კმაყოფილება გამოთქვა დანიის ფოლკეტინგის დელეგაციის მეგობრული ვიზიტის გამო, აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნების პარლამენტების დელეგაციათა გაცვლა ხელს შეუწყობს სსრ კავშირსა და დანიას შორის მეგობრული ურთიერთობის გაფართოებისა და განმტკიცების საქმეს.

გუსტავ პედერსენმა საპასუხო სიტყვაში თქვა:

— ნება მიბოძეთ—დანიის პარლამენტის დეპუტატთა სახელით გულითადი მადლობა გიძღვნათ იმ საუცხოო გულთბილი მიღებისათვის, რომლითაც აქ შეგვხვდით.

ის გულთბილობა, რომლითაც ყველგან გვხვდებიან საბჭოთა მიწაწყალზე, სინანულს აღგვიძრავს იმის გამო, რომ არ ვიცით თქვენი ენა, რათა გამოვთქვათ გულწრფელი მეგობრობის გრძნობა, აღტაცება ყოველივე იმის გამო, რასაც საბჭოთა კავშირში ვხედავთ.

ჩვენ აქ მოვედით ღია გულით, გახელილი თვალებით, იმის სურვილით, რომ დავინახოთ ყველაფერი, რათა ვიმუშაოთ თქვენთან ერთად მშვიდობისათვის, კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის.

ჩამოსვლის შემდეგ მალე დანიის ფოლკეტინგის დეპუტატებმა ვიზიტი გაუკეთეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ვ. დ. კუპრაძეს. (საქდესი).

## გავადიდებთ მოსავლიანობას

ჩვენი კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა ჩაის კულტურა. მისი სრულმოსავლიანი ფართობი ამჟამად 150 ჰექტარს შეადგენს. გასულ წელს გეგმით გათვალისწინებული 710 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩავაბარეთ 742 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანეთ 5.000 კილოგრამი.

ზუგდიდელ მეჩაიეთა მოწოდების საფუძველზე ჩავებით სოციალისტურ შეჯიბრებაში. ვიბრძვით იმისათვის, რომ წელს 150 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოვკრიფოთ 5.100 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.700 კილოგრამისა.

კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა კალისტრატე ბულისკერიამ იკისრა 19 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 6.000 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი, ბრიგადირმა ჩოქოლი ქვაჩახიამ 12 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე — 7.000 კილოგრამი, ბრიგადირმა ბუხუტი შონიამ 14 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე — 5.700 კილოგრამი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ვართ სოფელ ზემო ბარღეფის კოლმეურნეობა „გიგანტთან“.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განსახორციელებლად გაჩაღებულია შემოქმედებითი შრომა. ყოველმხრივ მომზადებული შევხვდით კრეფის ახალ სეზონს. უკვე მოკრეფილია 40.000 კილოგრამი ნედლეული. მაისსა და ივნისში სახელმწიფოს ჩავაბარებთ 370.000 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

**ე. ბეთია,**
**გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.**

## პარტიისა და მთავრობის მოწოდებით

### მზად ვართ შევასრულოთ საპატიო დავალება

ახალგაზრდობისადმი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდებამ — სამუშაოდ წავიდნენ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებში — თბილისის ახალგაზრდობის ნამდვილი პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვია. კომკავშირის რაიკომებში უკვე შემოვიდა ათასზე მეტი განცხადება, რომლებშიაც ახალგაზრდა პატრიოტები სურვილს გამოთქვამენ სამუშაოდ წავიდნენ იქ, სადაც პარტია მოუწოდებს.

დედაქალაქში ვერ ნახავთ ისეთ საწარმოს, სადაც არ იყვნენ დიად ახალ მშენებლობებზე წასვლის მსურველი ახალგაზრდები. არც თუ ისე დიდია 26 კომისრის სახელობის ქარხანა, მაგრამ კომკავშირის კომიტეტში უკვე შევიდა კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა 16 განცხადება. მათ შორის არიან ქართველები, რუსები, სომხები, უკრაინელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

...სარემონტო საამქროში ჩარხზე დახრილა ორი ახალგაზრდა, ისინი თავაულებლივ ჩაჰკირკიტებენ ჩარხის ერთ-ერთ კვანძს, გულდასმით სინჯავენ ყოველ დეტალს. ესენი არიან განუყრელი მეგობრები ა. გერგედავა და ა. გონჩაროვი.

ორივე თითქმის ერთ დროს მოვიდა ქარხანაში, აქ შეისწავლეს მათ ზეინკლის პროფესია და ერთად დაიწყეს მუშაობა სარემონტო საამქროში. მათ შეიყვარეს თავიანთი პროფესია, მწყობრიდან გამოსულ არაერთ მანქანასა და ჩარხს ჩაუდგეს სული.

როცა გაზეთებში გამოქვეყნდა პარტიისა და მთავრობის მოწოდება ახალგაზრდობისადმი, მეგობრებმა ერთად წაიკითხეს იგი და გადაწყვიტეს ჩვენი რესპუბლიკის სხვა მოწინავე ახალგაზრდებთან ერთად წავიდნენ სამუშაოდ ზღვისპირეთის ახალი ქარხნების მშენებლობაზე.

— თუ ჯერჯერობით ზეინკლები იქ არ დასჭირდებათ, — ამბობს ა. გონჩაროვი, — მშენებლის პროფესიასაც სწრაფად ავითვისებთ და გამოსადეგი ვიქნებით. შემდეგ კი, როცა ზღვისპირეთში ახალი ქარხნები ამუშავდება, იქ გამოვიყენებთ ჩვენს ძალასა და ენერგიას, ჩვენს საყვარელ პროფესიას სამშობლოს სადიდებლად, ხალხის საკეთილდღეოდ.

აღმოსავლეთის ახალშენებებზე წასვლის სურვილი განაცხადეს აგრეთვე ელექტროშემდუღებელმა ვ. დანილოვამ, მეყალიბე ქ. ხასოევმა, ხარატმა ი. გლუშკოვმა, წუნმდებელმა ე. ეგიაზაროვამ, ზეინკლებმა ნ. კოჩარიანმა, ლ. ზახარიანმა და სხვებმა.

## შორეულ, მაგრამ მშობლიურ მხარეში

გორი. (საკ. კორ.). კომკავშირის საქალაქო კომიტეტში, აგრეთვე ქალაქის საწარმოთა და მშენებლობათა კომკავშირის პირველად ორგანიზაციებში ყოველდღე შემოდის ახალგაზრდა პატრიოტთა განცხადებები, რომლებშიც ისინი სურვილს გამოთქვამენ წავიდნენ სამუშაოდ აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და დონბასის ახალ მშენებლობებზე.

ბამბის ქსოვილების კომბინატის მეორე რიგის მშენებლობაზე მომუშავე ახალგაზრდები მებეტონე გიორგი ლომიძე და დურგალი გიორგი საკაშვილი თავიანთ განცხადებებში წერენ, რომ სურვილი აქვთ იმუშაონ იქ, სადაც მათი შრომა ყველაზე უფრო საჭიროა სამშობლოსათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვის პასუხად მარტო ბამბის ქსოვილების კომბინატის კომკავშირის კომიტეტში 75 ახალგაზრდამ შეიტანა განცხადება თხოვნით სამუშაოდ გაგზავნონ დიდ ახალ მშენებლობებზე. მათ შორის არიან ვ. კრილოვა, გ. კრავჩენკო, პ. კურუშევი და სხვ. სულ ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში 100-მდე ახალგაზრდამ განაცხადა სურვილი წავიდეს სამუშაოდ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებში.

## პატრიოტული სულისკვეთებით

ამ დღეებში მრავალი განცხადება მოდის საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიკომში. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვის პასუხად გარეუბნის რაიონის ჭაბუკები და ქალიშვილები სურვილს გამოთქვამენ სამუშაოდ წავიდნენ აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის, დონბასის საწარმოებში და ახალ მშენებლობებზე.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების კაპიტალური შეკეთების დიღმის სარაიონთაშორისო სახელოსნოს ზეინკალი ქალიშვილი ს. ქასაშვილი თავის განცხადებაში წერს: — სურვილი მაქვს ჩემი წვლილი შევიტანო კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში. გთხოვთ დამეხმაროთ, რათა სამუშაოდ გამგზავნონ ანგარის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე.

კომკავშირის რაიკომში განცხადებები შეიტანეს და კომუნიზმის ახალ მშენებლობებზე წასვლის სურვილი გამოთქვეს ამავე სახელოსნოს მუშებმა: ნ. პოცეპჩიკამ, ა. სარქისიანმა, ვ. ოლშანსკიმ, ვ. ლეონოვმა, ა. კონიაევმა და სხვ.

## ა ხ ა ლ ი ქ ა რ ხ ა ნ ა

ამას წინათ რუსთავში ამუშავდა ცემენტის ქარხანა პირველი რიგის სიმძლავრით. ეს ქარხანა რესპუბლიკის პირველი საწარმოა, რომელიც მწყობრში ჩადგა მეექვსე ხუთწლედში. გადაწყვეტილია წელს დამთავრდეს ქარხნის მეორე რიგის მშენებლობაც და იგი სრული სიმძლავრით ამუშავდეს.

ქარხანაში უკვე მუშაობს თიხის მოსამზადებელი განყოფილება, ნედლეულის საამქრო, ერთი მბრუნავი ღუმელი, ქვანახშირის საფქვავი მანქანა და საფქვავი საამქრო. მზა ცემენტისათვის აგებულია ცემენტის სასილოსე კოშკები.

ქარხანა მთლიანად გამოიყენებს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ნარჩენს — წიდას, რისთვისაც შეძენილია და საექსპლოატაციოდ გადაცემულია წიდის საფშვნელი ე. წ. საგრანულაციო დანადგარი. ცემენტის დასამზადებლად ნედლეულს წარმოადგენს აგრეთვე ადგილობრივი კირქვა.

ქარხანა აღჭურვილია უახლესი ტექნიკით — ავტომატიკით და ელექტროფილტრებით. ცემენტის ძველ ქარხნებში ცემენტის მტვრის სახით ნარჩენები შეადგენს საერთო პროდუქციის 10-12 პროცენტს, რის შედეგადაც საწარმოს ტერიტორია ნაგვიანდება. ელექტროფილტრები იჭერენ გამოყოფილ მტვერს და უბრუნებენ წარმოებას.

ქარხანას შეუძლია გამოუშვას ყველა მარკის ცემენტი და საგრძნობლად დიდი რაოდენობით. ამჟამად ქარხანა უშვებს უმაღლესი მარკის წიდა-პორტლანდ ცემენტს. ქარხანამ პირველი ათასი ტონა ცემენტი უკვე მიაწოდა ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას და თბილისის პირველ საერთო-სამშენებლო ტრესტს.

მშენებლებმა და მემონტაჟეებმა იკისრეს ვადამდე დაამთავრონ ქარხნის მეორე რიგის მშენებლობა. ამასთან დაწყებულია ქარხნის ტერიტორიის გამწვანება.



სურათებზე: 1. გამოსაწვავი საამქრო — მბრუნავი ღუმელის ხედი; 2. ცემენტის სასილოსე კოშკები; 3. კლინკერის საწყობი.

ტექსტი და ფოტო ვ. გინზბურგისა.

## აგიტატორის საუბარი

# პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საერთო-სახალხო მნიშვნელობა

სამუშაო დღის დამთავრებისთანავე საამქრო სწრაფად დაიცალა. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ, მუშათა ერთმა ჯგუფმა კვლავ მოიყარა თავი საგრეხ-სახვევ დაზგებთან. ზოგმა მაშინვე დაიკავა ადგილი აგიტატორის მოლოდინში, ხოლო მუშების ერთი ნაწილი კუთხეში რაღაცაზე გაცხარებით საუბრობდა.

ამასობაში აგიტატორი ლიდა ჩხიკვაძეც შემოვიდა.

— დავიწყოთ საუბარი, ამხანაგებო! — მიმართა მან თანამოძმეებს.

— დღეს ჩვენი საუბრის თემა იქნება პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საერთო-სახალხო მნიშვნელობა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარება ხორციელდება საკუთარი რესურსებით, დაგროვების შინაგანი წყაროებით. ამიტომ კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა და აქცევს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, რომელიც შინაგანი დაგროვების ძირითადი წყაროა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში აღნიშნულია, რომ სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგს მოეპოვება უდიდესი შინაგანი შესაძლებლობანი. გამოავლინო და ყაირათიანად გამოიყენო ეს შესაძლებლობანი ნიშნავს იმას, რომ უზრუნველყო მეექვსე ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულება. ყრილობა პარტიული ორგანიზაციებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა სახელმწიფო დავალებათა უთუოდ შესრულება თვითეული საწარმოს მიერ ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

გასულ წელს ჩვენი დიდი ქვეყნის საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის, შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა წინა წელთან შედარებით შესადარ ფასებში 4,7 პროცენტით შემცირდა. 1955 წელს თვითღირებულების შემცირების დავალება შეასრულეს აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმაც. მაგრამ მთელი რიგი საწარმოები, — განაგრძობს აგიტატორი, — ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ თვითღირებულების შემცირების დავალებას, რადგან იქ ცუდად არის მოწყობილი შრომის ორგანიზაცია, მუშაობენ არარიტმულად, პროდუქციის დიდ ნაწილს თვის ბოლოს უშვებენ, ხოლო ეს იწვევს მუშებისა და მოწყობილობის მოცდენას, უნაყოფო ხარჯებს, ხელფასის ფონდის გადახარჯვას. ყოველივე ეს კი ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას.

ამხანაგებო, მე მინდა მოვიყვანო რამდენიმე ფაქტი ჩვენი საწარმოს — სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მაგალითზე და დაგარწმუნოთ, თუ გეგმასთან შედარებით პროდუქციის თვითღირებულების თუნდაც მეათედი ნაწილით შემცირებას რა დიდი ზეგეგმითი მოგების მოცემა შეუძლია.

— გასულ წელს, წინა წლებთან შედარებით, ჩვენი კომბინატის კოლექტივმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 104,2 პროცენტით შესრულა, გეგმის გადამეტებით 3.841 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. გადაჭარბებით შესრულდა დავალება შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში — გეგმასთან შედარებით 2,4 პროცენტის გადამეტებით. ყოველივე ამის შედეგად პროდუქციის თვითღირებულება 0,64 პროცენტით შემცირდა, რაც ფულადი გამოხატულებით 1.070 ათას მანეთს უდრის, ხოლო ზეგეგმითი დაგროვება 1.218 ათას მანეთს შეადგენს.

ამ წარმატებას საწარმოს კოლექტივმა იმით მიაღწია, რომ ყველა საამქროში ფართოდ დაინერგა შრომის მოწინავე მეთოდები, ძაფის რთვის, გრეხვისა და წინდის ქსოვის მოწინავე ტექნოლოგია, შრომა უფრო მოწესრიგდა, მოწყობილობის გამოყენება გაუმჯობესდა. ამაში დიდად დაგვეხმარნენ ჩვენი რაციონალიზატორები და გამომგონებლები.

მოპოვებული მიღწევის შედეგად ჩვენი კომბინატი მოწინავე საწარმოთა რიგებში ჩადგა, გასული წლის II, III და IV კვარტალში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა და მიიღო ფულადი ჯილდო.

**ვენერა კარსანიშვილი** (საამქროს მოწინავე მხვეველი) — კიდევ უკეთესი მაჩვენებლები გვექნებოდა, მუშაობაში იერიშობანა რომ არ ყოფილიყო, თავის დროზე რომ გვქონოდა მასალები და ნედლეული.

— მართალი ხართ, ამხანაგო ვენერა! მასალებით არასათანადო მომარაგება ხელს გვიშლიდა საწარმოო გეგმების სისტემატურად გადაჭარბებით შესრულებაში. წელს ეს მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა.

— ამხანაგებო! საგიტაციო საუბრების დროს და საწარმოო თათბირებზე ხშირად ვლაპარაკობთ მუშაობის ხელშემშლელ მიზეზებზე. მაგრამ კიდევ უკეთესი იქნება ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ მოვაწესრიგოთ შრომა საამქროში, როგორ დავეხმაროთ ჩამორჩენილებს, რათა გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, შევამციროთ მასალების ხარჯვა, საამქრო ხარჯები და ამით კიდევ უფრო შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება.

— ჩვენს საამქროში, — განაგრძობს აგიტატორი, — გვყავს მოწინავე ადამიანები — ზინა ოსეფაშვილი, მარო ბესტაევა, ლილი ტალიაშვილი. ისინი ყოველდღიურ დავალებებს 140 პროცენტით ასრულებენ. ასეთი ადამიანები ბევრი რომ გვყავდეს, საჭიროა ახალგაზრდა მუშებს დროულად დავეხმაროთ, რათა მათაც შეძლონ დავალების გადაჭარბებით შესრულება. ამით უზრუნველვყოფთ შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას.

შრომის ნაყოფიერების ზრდა ხელს უწყობს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და დიდად ზრდის შინასამრეწველო დაგროვებას. თვითღირებულების შემცირებით მიღებული ეკონომია ზრდის ნაციონალურ შემოსავალს, შესაძლებლობას აძლევს კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას განუხრელად აამაღლონ მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე.

— ამხანაგო ლიდა, — მიმართა აგიტატორს მოწინავე მგრეხავმა **ზინა ოსეფაშვილმა**, — შრომის ნაყოფიერების სისტემატურ ამაღლებას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას დიდი მნიშვნელობა რომ აქვს, ამას ისიც მოწმობს, რომ გასული წლის მაღალნაყოფიერი შრომის შედეგად ჩვენი კომბინატის კოლექტივმა საწარმოო ფონდი მოიპოვა.

**აგიტატორი:** ამხანაგმა ზინამ კარგი საკითხი დააყენა. შარშან გეგმიანი და ზეგეგმითი დაგროვებიდან საწარმოო ფონდში გადაირიცხა 244 ათასი მანეთი. ეს თანხა მოხმარდება ახალი ტექნიკის დანერგვას, მოქმედი მანქანების მოდერნიზაციას, მუშათა საცხოვრებელი ბინების შეკეთებას და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. აგრეთვე პრემიები მიეცემათ მოწინავე ადამიანებს, საწარმოო ფონდის ხარჯზე ბევრი მუშა გაიგზავნება ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე.

საწარმოო ფონდი უფრო დიდი გვექნებოდა, — განაგრძობს აგიტატორი, — გასულ წელს დიდი რომ არ ყოფილიყო ნახვეწით გამოწვეული დანაკარგები. მაგალითად, 1 კილოგრამი ძაფი რომ მივიღოთ, დაშვებულია 100 გრამი ნახვეწი, ფაქტიურად კი მივიღეთ 500 გრამი, რაც, როგორც ხედავთ, ხუთჯერ აღემატება გეგმით გათვალისწინებულს. თქვენ გახსოვთ, ამაზე ადრეც გვქონდა ლაპარაკი, რომ წინათ მოუწესრიგებელი იყო ნახვეწის აღრიცხვა. რამდენიმე მუშა ერთად აბარებდა ნახვეწს, არ ჩანდა, ვის რა რაოდენობით ჰქონდა წუნი მუშაობაში. ამჟამად ეს საკითხი მოგვარებულია, ნახვეწსა და ძაფს თვითეული მუშა ცალკე აბარებს. ამან გაზარდა მუშების პასუხისმგებლობა და შედეგსაც კარგს მივაღწიეთ. მნიშვნელოვნად შემცირდა ნახვეწის რაოდენობა და გაუმჯობესდა ძაფის ხარისხი. ამის მაჩვენებელია ის, რომ საგრძნობლად შემცირდა რეკლამაციების მიღება ჩვენს მიერ გამოშვებული ძაფის მომხმარებელი საწარმოებიდან. მაგალითად, თუ გასული წლის IV კვარტალში ძაფის უხარისხობის გამო 10 რეკლამაცია მივიღეთ, მიმდინარე წლის I კვარტალში ეს რიცხვი 3-მდე შემცირდა.

ეს მაგალითი იმას გვიჩვენებს, რომ ჩვენს კოლექტივს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების აურაცხელი საწარმოო რეზერვები აქვს. საჭიროა მხოლოდ მათი გამოვლინება და გამოყენება, რაც თვითეული მუშის მონდომებულ, უნარიან, შემოქმედებითს შრომაზეა დამოკიდებული.

ამხანაგებო! თქვენთვის უკვე ცნობილია, რომ ჩვენი საწარმოს კოლექტივს ვალდებულებაა წლიური გეგმა 22 დეკემბრისათვის შეასრულოს და გეგმის გადამეტებით გამოუშვას 1.920 ათასი მანეთის პროდუქცია. ჩვენმა კოლექტივმა ამ ვალდებულების პირნათლად შესრულებისათვის სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე წარმატებით დაიწყო მუშაობა და პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მთლიანად გავანაღდოთ ჩვენი დაპირება. თვითეული ჩვენგანის ვალია უკეთესად მოვაწყოთ მუშაობა ყველა უბანზე, დავეხმაროთ ახალგაზრდა მუშებს, ნაყოფიერად გამოვიყენოთ თვითეული წუთი, შევამციროთ მანქანების მოცდენა და უზრუნველვყოთ მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის საწარმოო პროგრამის ყველა მაჩვენებლით შესრულება.

**ზ. ბასილაშვილი.**

# საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია რაიონული კომიტეტის მეტ დახმარებას მოითხოვს

ხობის რაიონის სოფელ ბიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში 49 კომუნისტია. მათი უმრავლესობა საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე მუშაობს, მაგრამ იმის გამო, რომ პარტიული ორგანიზაცია სუსტად ახორციელებს კოლმეურნეობის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, იგი ვერ რაზმავს კომუნისტებს კოლმეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. საწარმოო ბრიგადებში შრომა მოუწესრიგებელია. მთელი რიგი შრომისუნარიანი კოლმეურნეები არ ასრულებენ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს. მათ შორის არიან კომუნისტებიც. მაგალითად, მიმდინარე წლის ოთხ თვეში კომუნისტებმა ა. იოსავამ გამოიმუშავა 2,45 შრომადღე, ლ. ჩუბინიძემ — 26, ს. იოსავამ — 30,46, კ. ქორაიამ — 36,76, ჯ. სიჭინავამ — 46 შრომადღე და სხვ.

კოლმეურნეობაში ნაკლებად ზრუნავენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში შესრულებისათვის. ამის გამო დაბალია მოსავლიანობა და შრომადღის ღირებულება. შარშან თვითეულ შრომადღეზე 400 გრამი სიმინდი და 7 მანეთი ფული გასცეს. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიაში კარგი პირობებია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის.

წელს კოლმეურნეობა სამარცხვინოდ ჩამორჩა საგაზაფხულო სამუშაოთა შესრულებაში. ჩაის პლანტაციები ცუდად არის დამუშავებული. პარტორგანიზაცია ჩამორჩენას ურიგდება, სუსტად იბრძვის ნაკლოვანებათა წინააღმდეგ. პარტბიურო (მდივანი რ. შონია) ზომებს არ იღებს კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებისათვის, გართულია ყოველდღიური წვრილმანი სამეურნეო საქმიანობით, ხოლო ივიწყებს მთავარს — მასებთან პოლიტიკურ მუშაობას.

კოლმეურნეობის გამგეობამ გადაწყვიტა წელს 210 ჰექტარი სიმინდი დაეთესოს, მაგრამ პარტორგანიზაციას ეს საქმე დაავიწყდა. 15 მაისისათვის ერთხელაც არ ჰქონდა განხილული თესვის მიმდინარეობის საკითხი, მაშინ როცა ამ რიცხვისათვის დათესილი იყო მხოლოდ 74 ჰექტარი. თუ ბიელმა კოლმეურნეებმა ასეთი ტემპით განაგრძეს თესვა, ეს სამუშაო ალბათ ივნისში ძლივს დამთავრდება.

მეტად ცუდი მდგომარეობაა მეცხოველეობაში. 1 ოქტომბრიდან 15 მაისამდე მოწველილია მხოლოდ 11.242 კილოგრამი რძე, წლიური დავალება კი 74.750 კილოგრამს ითვალისწინებს. ნაკლოვანებებს არ აწუხებს ფერმის გამგეს, კომუნისტ ი. შონიას. მას უკვე დაერიცხა 335,18 შრომადღე, ჩამორჩენისთვის კი პასუხს არავინ სთხოვს. ასევე უპასუხისმგებლოდ მუშაობენ კომუნისტი მეცხოველეები ა. ბიგვავა, კ. შონია და სხვ.

ფორმალურ ხასიათს ატარებს სოციალისტური შეჯიბრება. მიმდინარე წლის 13 აპრილს პარტიულ კრებაზე სხვა სამ საკითხთან ერთად განიხილეს ხობის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიმართვა რაიონში სიმინდის უხვი მოსავლის მისაღებად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. კრებამ ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე მიიღო ზერელე დადგენილება: მოწონებულ იქნას ხობელთა ინიციატივა.

სოფელი ბია სულ რაღაც 7 თუ 8 კილომეტრით არის დაშორებული რაიონის ცენტრს. რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების მოვალეობაა უფრო ხშირად მივიდნენ ადგილზე, მოეხმარონ ბიელ კომუნისტებს, მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაცია ბრძოლისუნარიანი გახდეს, ენერგიულად შეუდგეს მუშაობას პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

**ბ. მილიუტინი,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## დუშეთის რაიონში

### ქალაქის კეთილმოწყობა

ყოველწლიურად ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება ქალაქი დუშეთი. წელს ქალაქის ცენტრს დაამშვენებს კულტურის სახლის ახალი შენობა, რომელსაც ექნება 400-ადგილიანი მაყურებელთა დარბაზი. განზრახულია სახლის მშენებლობა დამთავრდეს ნოემბრისათვის. სულ მალე დამთავრდება სტალინის სახელობის ქუჩის კეთილმოწყობა. ლარივით გაჭიმულ გზას ამშვენებს თეთრი ლამპიონები. ახლახან ნაპირებზე დაირგო ცაცხვის ხეები, ამ ზაფხულს დამთავრდება გზის მარჯვენა ნაპირის მოასფალტებაც. ხევზე, რომელიც ლენინის სახელობის ქუჩას ჰყოფს, დაიწყო ახალი ხიდის მშენებლობა. ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკის გაზონებსა და ხეივნებში დაირგო ორმოცამდე ჯიშის 10.000 ძირი ხე და დეკორაციული ყვავილი.

### ილიჩის ნათურები სოფლად

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს რაიონის სოფლების ელექტროფიკაცია. რაიონში ექვსი ელექტროსადგური მუშაობს. უკანასკნელი წლების მანძილზე ელექტროფიცირებულ იქნა 23 საკოლმეურნეო სოფელი. გასულ წელს ილიჩის ნათურები აციმციმდა შუახევში, ჭილურტში, ანანურსა და ციხიძირში. წელს ელექტროფიცირებულ იქნება ოთხი სოფელი — ქოპორტი, მლაშე, გრიგოლაანთკარი და ჩინთი. რაიონის პერსპექტიული გეგმის მიხედვით მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის ელექტროფიცირებულ იქნება მთელი რაიონი.

### მტს-ი ახალი ტექნიკით იარაღდება

დუშეთის მტს-ი ყოველწლიურად იღებს ახალი კონსტრუქციის გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს, ხელსაწყოებსა და აპარატურას. სადგურის პარკის საერთო სიმძლავრე შეადგენს 102 ტრაქტორს (15-ძალიანზე გადაყვანით). მიმდინარე სამეურნეო წელს მტს-მა მიიღო „დტ-54" მარკის 2 ტრაქტორი, 7 ცალი სიმინდის მოსავლის ასაღები მოწყობილობა „სტალინეც-6" მარკის კომბაინებისათვის, ხეხილის შესაწამლი აპარატები, სასუქების მოსაბნევი მანქანა, ელექტროშემდუღებელი მოძრავი აგრეგატი, დიდი ზომის მექანიკური ბურღი და სხვ.

### საზოგადოებრივი კვების ახალი ობიექტი

საქართველოს სამხედრო გზაზე სოფელ ჟინვალში ცეკავშირის გამგეობა აშენებს ახალ სასადილოს, რომელსაც ექნება სანიმუშოდ მოწყობილი სამზარეულო, ბუფეტი, კაბინეტები, საერთო დარბაზი და ფანჩატურები. მშენებლობაზე დაიხარჯება 135.000 მანეთი. სასადილო გაიხსნება მიმდინარე წლის ნოემბერში.

### წყალი გაიყვანეს

სოფელი საშაბურო უხსოვარი დროიდან განიცდიდა წყლის ნაკლებობას. მოსახლეობა სასმელ წყალს კილომეტრნახევარ მანძილიდან ეზიდებოდა. კოლმეურნეობამ შეიძინა ყველა საჭირო მასალა და კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობით სოფელში გაყვანილ იქნა სასმელი წყალი. დღეს საშაბურის მოსახლეობა და მეცხოველეობის ფერმები უზრუნველყოფილია წყაროს წყლით.

**გ. ნადარეიშვილი.**

## საკოლმეურნეო ბიბლიოთეკაში

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). სოფელ სალხინოს ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში მოეწყო საკოლმეურნეო ბიბლიოთეკა. აქ არის სხვადასხვა სახის ლიტერატურა, მოწყობილია პარტიის XX ყრილობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ბიბლიოთეკას ჰყავს 100-ზე მეტი მუდმივი მკითხველი. მოწინავე კოლმეურნეები ი. ბერიშვილი, ბ. ნანავა, ე. გეგელია, ლ. ნაჭყებია და სხვები ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები არიან.

# მეტი ყურადღება ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას

ჩვენს ქვეყანაში ჟურნალ-გაზეთები უდიდესი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობენ. ყოველწლიურად დიდდება მათი ტირაჟი. გამოდის ახალი ჟურნალები, გაზეთები, იზრდება ხელისმომწერთა რიცხვი. მარტო საქართველოში ხელმოწერით ვრცელდება ერთ მილიონ ცალზე მეტი ცენტრალური და რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთები. გარდა ამისა, „სოიუზპეჩატის" კიოსკებში ყოველდღიურად 150 ათასამდე ცენტრალური, რესპუბლიკური გაზეთები და მრავალი სახის ჟურნალი იყიდება.

საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკებმა პარტიული ორგანიზაციების და პრესის საზოგადოებრივი რწმუნებულების დახმარებით 1956 წლის ხელმოწერის კამპანია მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩაატარეს. წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკაში გავრცელებულ იქნა 1.013.400 ეგზემპლარი გაზეთი და ჟურნალი.

წელს ჩვენი რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ორგანოებს პირველად დაევალათ სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ჟურნალ-გაზეთების გავრცელება. ამჟამად საქართველოში ხელისმომწერლები სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებიდან 5.000-მდე ჟურნალ-გაზეთს იღებენ, რომლებიც 11 ენაზე გამოდის.

ახლა „სოიუზპეჩატის" მუშაკები მრავალრიცხოვან აქტივთან და პრესის საზოგადოებრივ რწმუნებულებთან ერთად შეუდგნენ ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას 1956 წლის მეორე ნახევრისათვის. ეს დიდმნიშვნელოვანი კამპანია მიმდინარეობს იმ დროს, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელები დიდი შრომითი აღმავლობით იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის.

„სოიუზპეჩატის" მუშაკები ახლა სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან. მათ უნდა აღადგინონ 500.000-მდე ხელმოწერა ცენტრალურ, რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და სარაიონო გაზეთებზე, ჟურნალებზე, რომელთა ვადები ივნისში იწურება. ამასთან უნდა გავრცელდეს მთელი რიგი ახალი გამოცემები, როგორიც არის ჟურნალი „კუკურუზა", „ენტომოლოგიჩესკოე ობოზრენიე", „მოლოდაია გვარდია", „კოსტიორ" და სხვ.

განსაკუთრებით სერიოზული მუშაობა მართებთ „სოიუზპეჩატის" თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განყოფილებებს. მათ დიდი რაოდენობით უნდა განაახლონ ხელმოწერა, გაავრცელონ ახალი გამოცემები.

აღსანიშნავია კავშირგაბმულობის ზოგიერთი რაიონული განყოფილების მუშაკების უდარდელი დამოკიდებულება პრესის გავრცელებისადმი. მაგალითად, ხელმოწერის მიმდინარეობის შესახებ პირველი ცნობა არ წარმოადგინეს თიანეთის, ჩხოროწყუს, წითელწყაროს, ბორჯომის, ქარელის რაიონების კავშირგაბმულობის კანტორებმა. ამ რაიონებში არ ზრუნავენ პერიოდულ გამოცემათა წარმატებით გავრცელებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ორგანოებმა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დახმარებით სასწრაფოდ უნდა აღმოფხვრან პრესის გავრცელებაში არსებული ნაკლოვანებანი, უზრუნველყონ 1956 წლისათვის რესპუბლიკისათვის გამოყოფილი ჟურნალ-გაზეთების ტირაჟების მთლიანად ათვისება, მკითხველებისათვის მათი მიწოდება.

**ა. შარაშიძე,**
საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების განყოფილების „სოიუზპეჩატის" უფროსი.

## „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

### „უკეთ გავაშუქოთ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები"

ამ სათაურით „კომუნისტში" დაიბეჭდა პრესის მიმოხილვა, რომელშიც აღნიშნული იყო თიანეთისა და გარეუბნის რაიონული გაზეთების „ახალი თიანეთისა" და „სტალინის დროშის" რედაქციების მუშაობის ნაკლოვანებანი მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა გაშუქებაში.

პარტიის თიანეთისა და თბილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიკომებმა განიხილეს „კომუნისტის" პრესის მიმოხილვა, კრიტიკა სწორად ცნეს და დასახეს ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

პარტიის თიანეთის რაიკომის ბიურომ დაავალა რაიონული გაზეთის რედაქციას უზრუნველყოს გაზეთში საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ მასალების სისტემატურად გამოქვეყნება, გაზეთის მუშაობაში აქტიურად ჩააბას სოფლის მეურნეობის მშრომელები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, იზრუნოს საგაზეთო მასალების უკეთესი ლიტერატურული დამუშავებისათვის.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიკომმა მოიწვია რედაქციის მუშაკთა თათბირი, რომელმაც განიხილა აღნიშნული მიმოხილვა და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების გაშუქების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

### „ხშირმა მიწერ-მოწერამ საქმეს ვერ უშველა"

„კომუნისტის" 21 აპრილის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნდა კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დროზე ვერ უზრუნველყო რკინიგზის სოხუმის განყოფილებიდან სასუქის გატანა, პასუხისმგებელი მუშაკები კი მხოლოდ მიწერ-მოწერით დაკმაყოფილდნენ.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა განიხილა „კომუნისტში" გამოქვეყნებული კორესპონდენცია და კრიტიკა სწორად ცნო. მიღებული ზომების შედეგად მინერალური სასუქი უკვე გაზიდულია რკინიგზის სადგურიდან.

საოლქო კომიტეტის ბიურომ მითითება მისცა აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრს ამხ. ა. ღვინჯილიას, რათა შემდგომ არ დაუშვას საქმის ასეთი გაჭიანურება.

## მწყობრში ჩადგა ჩაის ახალი ფაბრიკა



ჯერ კიდევ გასულ წელს მშენებლებმა ჩამოხსნეს ხარაჩოები, დადგეს აგრეგატები, დაამონტაჟეს მანქანები და გულრიფშის რაიონის დრანდის ჩაის ფაბრიკა საექსპლოატაციოდ მოამზადეს. ახალი ჩაის ფაბრიკა მხოლოდ ნედლეულს ელოდებოდა.

დიდი იყო ფაბრიკის კოლექტივის სიხარული, როცა 12 მაისს ფაბრიკას მოადგნენ ჩაის მწვანე ფოთლით დატვირთული პირველი ავტომანქანები სოფელ დრანდის შაუმიანის სახელობის და სოფელ ვლადიმიროვკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებიდან. ჩაის მიმღები ცენტრალური პუნქტის გამგემ ამხ. ს. ნადარაიამ დაუყოვნებლივ მიიღო ჩაის პირველი პარტია.

ამოქმედდა მთელი კოლექტივი, აგუგუნდა აგრეგატები. ფაბრიკამ პირველ 5 დღეს მიიღო 26 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი და წარმატებით შეუდგა მის გადამუშავებას. ფაბრიკის კოლექტივი ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს.

სურათებზე: ქვემოთ — გულრიფშის ჩაის ფაბრიკის მთავარი კორპუსი; მარცხნივ — ჩაის მწვანე ნედლეულის მიღება; მარჯვნივ — საროლერო საამქროში.

ტექსტი **ი. გოგეჩიასი.**
ფოტო **გ. კვირკველიასი.**





# გავაახლოთ და გავაჯანსაღოთ საქართველოს ტყეები

[illegible]

... ძოვების შედეგად გაჩანაგებული და გამეჩხერებულია, ხოლო მეორე მხრივ ჩვენშია შორეული, ჯერ კიდევ ხელუხლებელი და გამოუყენებელი ულრანი ტყეები, სადაც ჩაწოლილია მწიფე და გადაბერებული მერქნის დიდი მარაგი.

იმისათვის, რომ უფრო სწორად ვაწარმოოთ საქართველოს ტყეების ექსპლოატაცია, საჭიროა ავიღოთ მაგალითი სხვა მოძმე რესპუბლიკების ტყეების ექსპლოატაციის გამოცდილებიდან. კრასნოდარის მხარე მთიანი ტყის ფართობით და მარაგით საქართველოს თანაბარია. იქ ამჟამად ყოველწლიურად 3,0 მილიონ კუბომეტრ ხე-ტყის მასალას ამზადებენ, პერსპექტიული გეგმით კი გათვალისწინებული აქვთ დაამზადონ 6,5 მილიონი კუბომეტრი; დასავლეთ უკრაინის მთიან კარპატებში წლიურად მზადდება 5 მილიონი კუბომეტრი.

ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად მზადდება მხოლოდ 1.200 ათასი კუბომეტრი მერქანი. ამრიგად, სხვა რესპუბლიკებთან შედარებით საქართველოში ძალიან დაბალ დონეზეა როგორც ტყის გაშენების, ისე ტყით სარგებლობისა და გადაბერებული ტყეების მოჭრა-განახლების საქმე. ეს მაშინ, როცა ტყეების ნორმალური ექსპლოატაციის ვითარებაში ჩვენს რესპუბლიკას შეეძლო მიეღო ადგილობრივი მერქანი, რაც მას ესოდენ სჭირდება და ახლა შორეული რაიონებიდან შემოაქვს.

იქნებ ტყის ჭრა მიზანშეუწონელია მთაგორიანი პირობების ვითარებაში ან [illegible]

... რომ ტყის გადაბერებას და დაუძლურებას თან სდევს დაავადება. მაგალითად, ნაძვის ტყეები საირმეში, ნაბადხევში და სხვ. გაახმო და მოსპო მავნებელმა ქერქიჭამიამ. გადაშენების შედეგად ზოგან ჩვენში წაბლნარ ტყეებსაც შეეპარა დაავადება და მოსპო. რა გარანტიაა, რომ მავნებლები არ გაანადგურებენ სხვა ჯიშის ტყეებსაც? ასე რომ არ მოხდეს, აუცილებელია გარკვეული სამეურნეო ღონისძიებანი საქართველოში ტყეების გადაბერების ლიკვიდაციისათვის და მათი განახლება უფრო ძვირფასი და სწრაფად მზარდი ჯიშებით. რესპუბლიკის ტყეებში დაგროვილი ასეული მილიონი კუბომეტრი გადაბერებული ხე-ტყე, კომერციული ენით რომ ვთქვათ, ჩაწოლილი საქონელია, მისი რეალიზაცია კი მკვეთრად აამაღლებს ჩვენი ტყეების რენტაბელობას, რასაც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატყეო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს და მიიღოს ზომები როგორც მეჩხერი ტყეების დაცვისა და აღდგენის, ისე დიდი რაოდენობით დაგროვილი მერქნის ათვისების უზრუნველსაყოფად.

სატყეო მრეწველობისათვის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ის, რომ ჩვენში ჯერაც არ არის დადგენილი ტყეების მექანიზებული ათვისების პირობებისათვის უფრო შესაფერისი ჭრის სისტემა. ეს ხარვეზი უმოკლეს დროში უნდა გამოს- [illegible]

... ტიის XVII ყრილობამ დაავალა სოფლის მეურნეობისა და სატყეო მრეწველობის სამინისტროებს უახლოეს ხანში დაამყარონ წესრიგი საქართველოს ტყეების ექსპლოატაციისა და მოვლის საქმეში.

პარტიის ამ დავალების შესასრულებლად საჭიროა დამუშავდეს ტყის ჭრის ახალი წესები ხე-ტყის დამზადების თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის გათვალისწინებით.

საჭიროა საქართველოს სატყეო მრეწველობის სამინისტრომ მეცნიერებათა აკადემიის სატყეო ინსტიტუტთან ერთად შეიმუშაოს რესპუბლიკის მთაგორიან რაიონებში ტყეების რაციონალური ექსპლოატაციის ტექნიკური ღონისძიებანი. აგრეთვე აუცილებელია, რომ ხე-ტყის დამზადების წარმოება საქართველოში მთლიანად გადაეცეს სატყეო მრეწველობის სამინისტროს და ლიკვიდირებულ იქნას ასობით პატარ-პატარა დამამზადებელი ორგანიზაციები, რომლებიც ტყეებში მტაცებლური მეთოდებით მუშაობენ.

უკვე მომწიფდა იმის საჭიროება, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან მოეწყოს საცდელ-სანიმუშო სატყეო-სამრეწველო მეურნეობა ხე-ტყის დამზადების და სატყეო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციით.

ყველა ღონისძიება უნდა მივიღოთ რესპუბლიკის მშვენებისა და დიდი სიმდიდრის — ჩვენი ტყეების გაჯანსაღებისა და განახლებისათვის.

ბ. გულისაშვილი.

## საკარანტინო ლაბორატორიაში



ლენინგრადი. წელს 25 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა კარანტინის სამსახური. ლენინგრადის საკარანტინო ლაბორატორია დიდ მუშაობას ეწევა იმისათვის, რომ ჩვენი მცენარეები დაიცვას უცხოური წარმოშობის საშიში მავნებლებისა და დაავადებისაგან. ეს ლაბორატორია მსოფლიოს ყოველი კუთხიდან იღებს მრავალი კულტურის თესლს, ბოლქვებს, ტუბერებს, ნერგებს, კალმებს. ლაბორატორიის სპეციალისტები ამ მასალებს საგულდაგულოდ ამოწმებენ.

მთელ რიგ შემთხვევებში იყენებენ რენტგენისა და ულტრაიისფერ სხივებს, რომ გამოავლინონ ფარული დაავადება. იმის მიხედვით, თუ რა შედეგებს გამოიღებს დაკვირვება, მცენარეებს ვაკუუმ-კამერაში ამოწმებენ იმ მიზნით, რომ გამოაცალონ დაავადების გადადების უნარი. გარდა ამისა, 1-2 წლის განმავლობაში დამატებითს ცდებს ახდენენ საკარანტინო ორანჟერიებსა და სათბურებში.

შემოწმების შემდეგ სავსებით ხალი მასალა იგზავნება გამრავლებისა და სელექციის მიზნით.

ამ წლების განმავლობაში ლაბორატორიამ ასეულ ათასობით შეამოწმა თესლის ნიმუშები და სხვადასხვა სახეობის მცენარე. გამოვლინებულ და გაუვნებლებულ იქნა 200 ათასზე მეტი დაავადებული ნიმუში.

სურათზე: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ვ. ნიკოლსკი და ფიტოპათოლოგი ლ. პ. აბრამოვა საკარანტინო ორანჟერიაში ათვალიერებენ სუბტროპიკული კულტურების იმპორტულ მცენარეებს.

ფოტო პ. ფედოტოვისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

## 60 წელი მასწავლებლად

თელავი. (საკ. კორ.). იოსებ ანდრიას-ძე მექაშვილმა 1895 წელს კაკავის (ახლანდელი ორჯონიკიძე) ხელოსანთა სკოლაში დაიწყო მასწავლებლობა. მას შემდეგ იგი განუწყვეტლივ ემსახურება ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. 1907 წლიდან იგი მუშაობას იწყებს თელავის მაზრის სოფელ რუისპირის დაწყებითს სკოლაში. 1935 წლიდან დღემდე მექაშვილი მუშაობს თელავის რვაწლიან სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად.

იოსებ მექაშვილის ნაყოფიერი მუშაობა პარტიამ და მთავრობამ ჯეროვნად შეაფასეს. მას მინიჭებული აქვს რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება და დაჯილდოებულია უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით.

ამას წინათ თელავის მასწავლებლის სახლმა მოაწყო რაიონის მშრომელთა შეხვედრა მხცოვან პედაგოგ იოსებ მექაშვილთან. ღვაწლმოსილმა მასწავლებელმა მშრომელებს აღუთქვა, რომ კვლავაც დაუზარელად, მთელი მონდომებით განაგრძობს მუშაობას იმისათვის, რომ ახალგაზრდობას საფუძვლიანად შეასწავლოს დიდი რუსი ხალხის ენა.

### ბიბლიოგრაფია

## მონოგრაფია დიდ მსახიობზე

ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დიდ მსახიობ უშანგი ჩხეიძეს, რომელმაც შექმნა მთელი რიგი განუმეორებელი სცენური სახეები როგორც ქართულ ორიგინალურ პიესებში, ისე კლასიკურ დრამატურგიაში. იგი იყო არა მარტო თეატრისა და კინოს უნიჭიერესი ხელოვანი, არამედ საუკეთესო მოქალაქე, მწერალი და თეატრმცოდნე.

გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოსცა მონოგრაფია უშანგი ჩხეიძის შესახებ, რომლის ავტორია პოეტი ანდრო თევზაძე. მონოგრაფიაში ავტორი დაწვრილებით განიხილავს ქართული სცენის ამ გამოჩენილი ოსტატის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. როგორც ავტორი შენიშნავს, უ. ჩხეიძისათვის სასცენო მოღვაწეობა შემთხვევითი მოვლენა არ იყო. იგი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო თეატრით. პატარა უშანგი თავის ტოლ-ამხანაგებთან ერთად მართავდა წარმოდგენებს ზესტაფონში, ბაბისეულ სახლში, ხოლო ზაფხულობით, როდესაც დასასვენებლად მიდიოდა ჭიათურაში, მასზე დიდ გავლენას ახდენდა ჭიათურის თეატრის სცენაზე ვალერიან შალიკაშვილის თამაში, რამაც მომავალ მსახიობს აღუძრა სურვილი სცენის მუშაკი გამხდარიყო.

1920 წლიდან უ. ჩხეიძე მუშაობას იწყებს ახლად დაარსებულ ქართულ სახელმწიფო დრამაში. ამ დღიდან იგი მონაწილეობს თითქმის ყველა სპექტაკლში, ასრულებს პატარა როლებს. სპექტაკლებში „ოიდიპოს მეფე“, „ვინ არის დამნაშავე“, „ირინეს ბედნიერება“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „მათრახის ბანაშვილი“, „სინათლე“, „ლატავრა“ და „გმირი“ შესრულებული როლები ამ დიდი მსახიობისათვის მოსამზადებელი მუშაობა იყო თეატრალური შემოქმედების ფართო ასპარეზზე გამოსასვლელად.

უშანგი ჩხეიძე კოტე მარჯანიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით გაიზარდა და დავაჟკაცდა ქართულ სცენაზე.

კოტე მარჯანიშვილის გამჭრიახმა თვალმა შეამჩნია ახალგაზრდა მსახიობში ბუნებრივი მონაცემები და უტყუარი სცენური ნიჭი, რომელიც დამახასიათებელია ჭეშმარიტი ხელოვანისათვის. ქართული თეატრის დღის წესრიგში დადგა საკითხი მაყურებელს განახლებული დადგმით და შესრულებით ეხილა ქართულ სცენაზე უკვდავი ინგლისელი კლასიკოსის შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტი“. მოულოდნელი იყო ახალგაზრდა უშანგი ჩხეიძისათვის ჰამლეტის როლის დაკისრება. მონოგრაფიის ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ „ამ დადგმამ ქართული საბჭოთა თეატრი სამართლიანად ჩააყენა მოწინავე თეატრთა რიგებში და დაამტკიცა, რომ ქართულ თეატრს კვლავ ჰყავს დიდი შემოქმედებითი ძალები, რომელთაც შეუძლიათ ხელოვნების მწვერვალებზე ასვლა. ამ დიდებული სპექტაკლის უდიდესი ღირსებისა და გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო ახალგაზრდა უშანგი ჩხეიძის გამოსვლა ჰამლეტის როლში, რომლითაც მან გენიალური მსახიობის სახელი მოიხვეჭა“.

მონოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ჰამლეტი უშანგი ჩხეიძის უდიდესი მიღწევა იყო და მსახიობსაც მის მიერ განსახიერებულ როლებს შორის ყველაზე უფრო ჰამლეტი მოსწონდა. მაგრამ მარტო კლასიკური რეპერტუარიდან შექმნილი სცენური სახეები არ აკმაყოფილებდა ნიჭიერ მსახიობს. იგი საბჭოთა თემატიკის ამსახველი როლების საუკეთესო შემსრულებელი იყო. მონოგრაფიის ავტორი ერთ-ერთ თავში, რომელსაც ეწოდება „რევოლუციონერი ბელადის სახე“, ვრცლად განიხილავს რუსი საბჭოთა დრამატურგის ბ. ლავრენიოვის რევოლუციურ პიესას „რღვევას“ და განსაკუთრებით ჩერდება ამ პიესაში უშანგი ჩხეიძის მიერ განსახიერებულ რევოლუციონერ მეზღვაურთა წინამძღოლის გოდუნის შესანიშნავ სახეზე. ქართულ სცენაზე განსახიერებული გოდუნი იყო გარკვეული რწმენის, ხასიათისა და ნებისყოფის მქონე რევოლუციონერი. გოდუნის როლის შესრულებით მსახიობმა უფრო გაამდიდრა თავისი არტისტული შემოქმედება.

კაცობრიობამ უამრავი სახელი იცის ისეთი სწავლული ადამიანებისა, რომლებიც მეცნიერული თვალსაზრისით უდგებოდნენ ბუნების სხვადასხვა მოვლენებს, თავისუფლად ავითარებდნენ აზროვნებას და გამოჰყავდათ მოვლენებიდან ჭეშმარიტი, სწორი დებულებები. ასეთ ადამიანებს ინკვიზიცია სდევნიდა და სჯიდა. ამ თემისადმია მიძღვნილი კარლ გუცკოვის ცნობილი პიესა „ურიელ აკოსტა“, რომლის გმირი ურიელი უშანგიმ განასახიერა ქართულ სცენაზე. მონოგრაფიაში აღნიშნულია, რომ იგი რუსულ სცენაზე „ურიელ აკოსტას“ დადგმას არ იცნობდა, მაგრამ მისი და რუსი მსახიობის იურიევის ურიელი ენათესავებოდნენ ერთმანეთს, რადგან ორივე მსახიობს „თანამედროვე საუკუნის რევოლუციური სული შეჰქონდათ აკოსტას ხასიათში“.

თეატრალური ხელოვნების ისტორიამ იშვიათად იცის ისეთი შემოქმედი, რომელსაც შეეძლოს თანაბარი სიძლიერით როგორც ტრაგიკული, ისე კომიკური როლების შესრულება. უშანგი ჩხეიძე ისეთი ფართო ამპლუას მქონე მსახიობი იყო, რომელსაც შეეძლო მაღალნიჭიერად შეესრულებინა ორივე ჟანრის როლები.

კვეჭენაძე (შალვა დადიანის კომედია „კაკალ გულში“) უშანგი ჩხეიძის მიერ კომიკური ხასიათის როლის შესრულების პირველი თვალსაჩინო ცდა იყო. მისი კომიკური ნიჭი უფრო გაიფურჩქნა და გაიშალა პოლიკარპე კაკაბაძის კომედია „ყვარყვარე თუთაბერში“, რომელშიც იგი თამაშობდა ნაცარქექია ყვარყვარეს როლს.

მსახიობის მიერ შესრულებული კომიკური ხასიათის როლები მონოგრაფიაში გამოყოფილია ცალკე თავად „უშანგი კომედიურ როლებში“. ავტორს მრავალი ფაქტიური მასალა მოჰყავს და მისი ანალიზის საშუალებით გამოაქვს მნიშვნელოვანი დასკვნები, რათა მკითხველის წინაშე მთელი სიცხადით წარმოადგინოს ნიჭიერი შემოქმედის მიერ შექმნილი მძაფრი ხასიათები.

მონოგრაფიის სხვადასხვა თავში განხილულია დანარჩენი როლები, რომლებიც უშანგი ჩხეიძეს შეუქმნია და რომლებიც საბჭოთა თეატრის ოქროს ფონდშია შესული როგორც უმნიშვნელოვანესი განძი. ეს როლებია: იაგო („ოტელო“), კარლ ტომასი („ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“), ზეგლარი („როგორ“), გულბაათი („ხატიჯე“) და სხვ.

უშანგი ჩხეიძე მხატვრული კითხვის უბადლო ოსტატი იყო. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, როცა ავადმყოფობამ საწოლს მიაჯაჭვა ქართული სცენის სახელოვანი აქტიორი, მის ხმას ხშირად ისმენდნენ რადიომსმენელები. ქართველი კლასიკოსების ილიასა და ვაჟას, თანამედროვე საბჭოთა პოეტების ნაწარმოებებს იგი ვირტუოზული ექსპრესიით კითხულობდა.

ქართული სცენის ამ დიდი მოღვაწის არტისტული ნიჭი ქართველი პოეტებისა და მხატვრებისათვის შთაგონების წყარო გახდა. ამ საკითხებს მონოგრაფიაში მიძღვნილი აქვს სპეციალური თავები.

მონოგრაფია „უშანგი ჩხეიძე“ სასარგებლო წიგნია. იგი დაწერილია სიყვარულით, კარგი ქართული ენით.

ბ. ბახტურიძე.

## ახალი წიგნი

ამას წინათ საქმედგამმა გამოსცა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ა. ჩუბინიძის წიგნი „თავის ტვინის სიმსივნეები“.

უდავოა, რომ საბჭოთა მედიცინის პროფილაქტიკური ხასიათის გამო უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სიმსივნურ დაავადებათა შესწავლისა და მკურნალობის საქმეში დაავადების ადრეულ ამოცნობას. ამ მხრივ აღნიშნული ნაშრომი დიდ სამსახურს გაუწევს არა მარტო კლინიცისტებს, არამედ განსაკუთრებით რაიონში მომუშავე ექიმებსაც. ზოგიერთი საკითხი დამუშავებული და გაშუქებულია ორიგინალური მასალის შესწავლის საფუძველზე, რაც გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს.

წიგნში გაშუქებულია აგრეთვე თავის ტვინის სიმსივნეების გამომწვევი მიზეზები და განვითარების მექანიზმები თანამედროვე მოწინავე მეცნიერების თვალსაზრისით.

წიგნის ტირაჟია 1.500, ფასი 2 მან. და 65 კაპ.

# საბჭოთა ახალგაზრდობის მორალური სახე

კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდისათვის. პარტიის XX ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშრომელთა და უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, და დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს ამ მიზნით უფრო სრულად და აქტიურად გამოიყენონ იდეური აღზრდის ყველა საშუალება — პროპაგანდა, აგიტაცია, პრესა, რადიო, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები და დაწესებულებანი, მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება.

საბჭოთა ხალხი, შემოქმედი ხალხი, თავდადებულ შრომას ეწევა სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად და თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში. სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში დიდია ჩვენი ახალგაზრდობის წვლილი. პარტია წარმართავს თითოეული საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითს შრომას ჩვენი დიდი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ზრდისათვის. ამ შემოქმედებითს შრომაში თავს იჩენს საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალური თვისებები.

კომუნისტური მორალი აქტიური ბრძოლის მორალია. იგი ხელს უწყობს საბჭოთა ადამიანებს დიადი მიზნის მიღწევაში — კომუნიზმის მშენებლობის იმ გრანდიოზული პროგრამის განხორციელებაში, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს.

პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და აქცევს ახალგაზრდობის აღზრდას. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდისა და განათლების მთელი საქმე განუყრელად დაკავშირებულია ზნეობრივ აღზრდასთან. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი თავის ისტორიულ სიტყვაში კომკავშირის III ყრილობაზე 1920 წელს ამბობდა: „საჭიროა, რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას“.

საბჭოთა ჭაბუკები და ქალიშვილები გამსჭვალული არიან სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით. საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი და წმიდა გრძნობა საბჭოთა ახალგაზრდობის უმნიშვნელოვანესი მორალური თვისებაა.

საბჭოთა პატრიოტიზმი ახალი, უმაღლესი ტიპის პატრიოტიზმია. იგი ნიშნავს სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულს, გულისხმობს მზადყოფნას — მთელი ჩვენი ძალა და, თუ საჭიროა, სიცოცხლეც მოვახმაროთ სამშობლოს კეთილდღეობას, მის წინსვლასა და აყვავებას.

საბჭოთა ახალგაზრდობის მგზნებარე პატრიოტიზმი მთელი თავისი სიცხადით გამოვლინდა სამოქალაქო ომის მძიმე წლებში, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის დაუვიწყარ დღეებში. კომკავშირის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია დნეპრჰესი და მაგნიტკა, ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა და ტურკსიბი, კუზნეცკშენი და როსტსელმაში. ესენია მძიმე მრეწველობის უმნიშვნელოვანესი კერები, პირველი ხუთწლედის პირმშოები, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო სოფლის მეურნეობის განვითარება, კოლექტივიზაციის განხორციელება.

ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ახალგაზრდობამ სიმამაცისა და გმირობის გაუგონარი სასწაულები მოახდინა. ასეულ ათასობით კომკავშირელი ნებაყოფლობით წავიდა ფრონტზე თავისი მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად. ისინი კომუნისტების მხარდამხარ იბრძოდნენ ფრონტის ყველაზე საშიშ უბნებზე. ომის წლებში ასობით კომკავშირელი გახდა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდების ღირსი, ხოლო ასეულ ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი დაჯილდოებულ იქნა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. ჩვენთვის დაუვიწყარია დიდი სამამულო ომის ახალგაზრდა გმირთა სახელები. საბჭოთა სამშობლოსათვის თავგანწირვით იბრძოდნენ ზოია კოსმოდემიანსკაია და ზოია რუხაძე, ალექსანდრე მატროსოვი და შოთა გამცემლიძე, ნიკოლოზ გასტელო და ალექსანდრე წურწუმია, ლიზა ჩაიკინა და ბალაოღლან აბასოვი, ალექსანდრე პოკრიშკინი და ნელსონ სტეფანიანი...

თითოეული ჩვენგანი, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა კრემლში, არასოდეს არ დაივიწყებს ჩვენი დიდი სამშობლოს გულს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მანათობელ შუქურას. აქედან საბჭოთა ადამიანები, პარტიის მგზნებარე სიტყვით აღფრთოვანებულნი, გაბედულად მიდიან ახალი საგმირო საქმეების შესასრულებლად. აქედან წავიდნენ ყამირი მიწების დასამორჩილებლად ჩვენი მამაცი ჭაბუკები და ქალიშვილები. მათ შორის იყვნენ ახალგაზრდა ქართველი პატრიოტებიც, რომლებიც ქართველმა ხალხმა გაგზავნა ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად. ამას წინათ ეს ჭაბუკები და ქალიშვილები კვლავ შევიდნენ კრემლში, მაცხოვრისა და ბოროვიცკის ჭიშკრებში, როგორც ყამირის დამმორჩილებელთა დელეგატები.

საბჭოთა ახალგაზრდებმა და კომკავშირელებმა, რომლებიც გულის კარნახით, კომკავშირის საგზურით, ჩვენი დიადი პარტიის მოწოდებით წავიდნენ ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად, გმირულად გადალახეს ყოველგვარი სიძნელენი და პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვეს, პარტიის შექება დაიმსახურეს. ყამირის დამმორჩილებელთა შესანიშნავი მაგალითი საბჭოთა პატრიოტიზმის ნამდვილი გამოხატულებაა.

დღეს პარტია და მთავრობა საბჭოთა ახალგაზრდობას ახალი საგმირო საქმეებისაკენ მოუწოდებენ — თავისი საუკეთესო წარმომადგენლები გაგზავნოს ახალმშენებლობებზე ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებში სამუშაოდ. ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტები მხურვალედ გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას და ამით კიდევ ერთხელ ცხადყვეს თავიანთი ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი.

საბჭოთა პატრიოტიზმი გულისხმობს მრავალეროვანი საბჭოთა სამშობლოსათვის კანონიერი სიამაყის გრძნობას. საბჭოთა ადამიანი ამაყობს თავისი სოციალისტური სამშობლოთი.

საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობა სულიერად ამდიდრებს და აკეთილშობილებს ახალგაზრდობას, ამაღლებს მას საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების შეგნებამდე. ჩვენი ჭაბუკები და ქალიშვილები სასკოლო მერხიდანვე ოცნებობენ წავიდნენ იქ, სადაც მეტ სარგებლობას მოუტანენ სამშობლოს. ისინი მისწრაფვიან საუკეთესოდ ისწავლონ, დაეუფლონ მეცნიერებათა საფუძვლებს. ზოგი მათგანი სიმწიფის ატესტატით ხელში მიდის საწარმოებში, ახალმშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და მტს-ებში, მრავალს სურს გახდეს მასწავლებელი და ექიმი, ინჟინერი და აგრონომი, ელექტროტექნიკოსი და მეცნიერი.

საბჭოთა პატრიოტიზმი მჭიდროდ არის დაკავშირებული პროლეტარულ ინტერნაციონალიზმთან. არ შეიძლება იყო ნამდვილი საბჭოთა პატრიოტი, ამავე დროს თუ არა ხარ ნამდვილი ინტერნაციონალისტი, ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით გამსჭვალული.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდას. სკოლასა და ოჯახში, პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობა იზრდება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის სულისკვეთებით. ხალხთა მეგობრობა კი საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და უძლეველობის წყაროა.

საბჭოთა ახალგაზრდობის მორალური სახე, მისი ზნეობრივი პრინციპები უწინარეს ყოვლისა ყალიბდება შრომის პროცესში. შრომამ შექმნა თვით ადამიანი. ჩვენს ქვეყანაში შრომა საამაყო და საპატიოა. ერთნაირი პატივისცემით სარგებლობენ მუშა და კოლმეურნე, მეშახტე და რკინიგზელი, მასწავლებელი და მწერალი, მეცნიერი და მოსამსახურე, თუ ისინი პატიოსნად და თავდადებით ემსახურებიან სამშობლოს.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი სიტყვაში კომკავშირის III ყრილობაზე მიგვითითებდა, რომ სწავლების პრაქტიკულ მუშაობასთან შეუხამებლად უაზროა ახალგაზრდობის აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით. მარტო საერთო შრომაში შეიძლება გახდე ნამდვილი კომუნისტი.

ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდა გაურბის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას. საშუალო სკოლის ბევრი კურსდამთავრებული პატივს არ სცემს ფიზიკურ შრომას, საჭიროდ არ მიაჩნია იმუშაოს კოლმეურნეობაში, მტს-ში, საბჭოთა მეურნეობაში. ამიტომ პედაგოგების, კომკავშირის ვალია სკოლაშივე გამოუმუშაონ ყველა ახალგაზრდას შრომისადმი პატივისცემა და სიყვარული.

შრომისადმი საბჭოთა ადამიანების კომუნისტური დამოკიდებულება ვლინდება სოციალისტური შეჯიბრებით, რომელიც კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი მეთოდია. ჩვენი მრეწველობის ნოვატორთა, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა წარმატებანი და მიღწევანი სწრაფად ხდება ცნობილი მთელ ჩვენს ქვეყანაში. შრომის ახალი მეთოდები ფართოდ ინერგება წარმოებაში. ყველაფერი ეს აჩქარებს ჩვენს წინსვლას კომუნიზმისაკენ.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება საბჭოთა ადამიანებში, ჩვენს ახალგაზრდებში ბადებს ახლის ძვირფას გრძნობას. კომუნისტური პარტია ყოველთვის უჭერს მხარს ბრძოლას ყოველივე ახლისა და პროგრესულისათვის. კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანები მთელ თავიანთ ენერგიას წარმართავენ იქითკენ, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს ჩვენი სამშობლოს ძლიერება, კიდევ უფრო ამაღლდეს ჩვენი ხალხის კეთილდღეობა.

საბჭოთა ახალგაზრდობის მორალური სახის განუყრელი დამახასიათებელი ნიშანია კოლექტივიზმი, მეგობრობა და ამხანაგობა. საბჭოთა ადამიანების კოლექტივიზმი საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ერთ-ერთი გამოხატულებაა. თავიანთ საქმიანობაში საბჭოთა ახალგაზრდები ხელმძღვანელობენ კოლექტივის, ხალხის ინტერესებით, საერთო საქმეს თავიანთ პირად საქმედ თვლიან. უამრავია საბჭოთა ახალგაზრდების უანგარო, ჭეშმარიტი მეგობრობისა და ამხანაგობის მაგალითები. ეს მეგობრობა და ამხანაგობა აგებულია მიზნებისა და ამოცანების ერთიანობაზე, პრინციპულობაზე.

კომუნისტური მორალის აღზრდის შემადგენელი ნაწილია შეგნებული დისციპლინის განმტკიცება. ვისაც შრომა უყვარს, მას დისციპლინაც უყვარს. საბჭოთა ახალგაზრდებმა იციან, რომ შრომის დისციპლინის დარღვევა აუცილებლად იწვევს საწარმოო გეგმების ჩაშლას და სერიოზულ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას. ამიტომ დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ჭაბუკებსა და ქალიშვილებს შორის ამხანაგობა ხშირად გადაიზრდება სიყვარულში. სიყვარული კი კომუნისტური ოჯახის სიმტკიცის ერთ-ერთი ბურჯია. ჩვენს ქვეყანაში ოჯახური ცხოვრება კერძო პირების საქმე როდია. ოჯახის ცხოვრება განუყრელად დაკავშირებულია მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებასთან, რადგანაც ოჯახი სოციალისტური საზოგადოების პირველადი უჯრედია. ამიტომაც მკაცრად გმობს საბჭოთა საზოგადოებრიობა ოჯახის დანგრევის ყოველგვარ ცდას. ოჯახის სიმტკიცე ბავშვთა აღზრდის აუცილებელი პირობაა. კომკავშირელთა და ახალგაზრდობის ვალია აამაღლონ პასუხისმგებლობა ოჯახისათვის, ბავშვთა აღზრდისათვის.

ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის მორალურ ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქცევის კულტურას, რომლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია უბრალოება და თავმდაბლობა. რაც უფრო კულტურულია ადამიანი, მით უფრო თავმდაბალია იგი, თავისუფალია ყოყოჩობისა და მკვეხარობისაგან.

ახალგაზრდებს შორის ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ხულიგნობა. სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერენ ამ დანაშაულებრივ მოქმედებას, როგორც „გაბედულების“ გამოხატულებას. ხულიგნობა შეუთავსებელია საბჭოთა ახალგაზრდის მორალურ თვისებებთან, და მის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ.

ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის თავმდაბლობა ვლინდება მისი გარეგანი სახითაც, ტანსაცმლით. ჩვენდა სამარცხვინოდ, უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდობაში ვხვდებით ისეთ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომლებსაც „უკანასკნელი მოდის“ მიხედვით აცვიათ. ესენი არიან უსაქმურები, რომლებიც ყოველგვარ სამუშაოს გაურბიან, დროს ატარებენ რესტორნებში, სასაუზმეებში, არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს. მათი ინტერესი შეზღუდულია და ცხოვრების ძირითადი მიზანია გართობა.

* * *

კომუნისტური მორალის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის იდეურ საფუძველს მარქსისტულ-ლენინური თეორია წარმოადგენს. მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი, ყოვლისშემძლე, რევოლუციური იდეები საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ენერგიის, მათი თავდადებული შრომის მძლავრი წყაროა.

ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის, მისი საერთო კულტურის ამაღლების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ ლიტერატურას, რომელიც სულიერად ამდიდრებს ადამიანს, აფართოებს მის ჰორიზონტს, ეხმარება მას მაღალ მორალურ თვისებათა ჩამოყალიბებაში. საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებში ნათლად არის ნაჩვენები ახალი ადამიანების — ჩვენი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტების მორალური თვისებები. დიდია აგრეთვე საბჭოთა კინოსა და თეატრის აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ჩვენს ახალგაზრდობას მაღალი მორალური თვისებები აქვს. მაგრამ ზოგიერთი ჭაბუკისა და ქალიშვილის შეგნებიდან ჯერ კიდევ აღმოფხვრილი როდია ბურჟუაზიული მორალის, კერძომესაკუთრული მორალის გადმონაშთები. ეს გადმონაშთები ვლინდება არა მარტო შრომისადმი და სოციალისტური საკუთრებისადმი არაკომუნისტურ დამოკიდებულებაში, არამედ სიყალბესა და ეგოიზმში, ყოყოჩობასა და ამპარტავნობაში, მლიქვნელობაში.

საბჭოთა ადამიანების შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთებთან ბრძოლის ერთ-ერთი ქმედითი იარაღია კრიტიკა და თვითკრიტიკა, რომელიც საბჭოთა საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალაა, კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვანი მეთოდია.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ კაპიტალისტურ გარემოცვაში. სოციალიზმის მტრები ყველა საშუალებას იყენებენ იმისათვის, რომ საბჭოთა საზოგადოებაში შემოაღწიოს ჩვენთვის მტრულმა, მავნე იდეოლოგიამ, გააღვივონ შური და მტრობა სხვადასხვა ეროვნების ხალხთა შორის. ისინი ცდილობენ თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენონ მორალურად არამტკიცე, მერყევი ადამიანები. ამიტომ ჩვენი ამოცანაა დაუნდობლად ვიბრძოლოთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, რა ალმითაც უნდა ინიღბებოდეს იგი, ვამაღლოთ რევოლუციური სიფხიზლე.

საბჭოთა ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებიც აღზრდილი არიან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით, მისწრაფვიან იქითკენ, რომ უფრო მეტად დაეხმარონ საბჭოთა ხალხს პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული დიადი ამოცანების განხორციელებაში. ამ კეთილშობილური მიზნისათვის ბრძოლაში კვლავ თავს იჩენს ახალგაზრდა თაობის სულიერი სილამაზე და მაღალი მორალური თვისებები.

ს. არღუნელი.

## უცხოეთის გამოხმაურება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შედეგების გამო

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის წარმატებით დამთავრებული მოლაპარაკების შედეგები კვლავ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.

უცხოეთის დეპეშათა სააგენტოებისა და გაზეთების კომენტატორები ხაზგასმით აღნიშნავენ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შედეგების საერთაშორისო მნიშვნელობას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ხალხთა ურთიერთგაგების განმტკიცებისათვის.

საფრანგეთის საზოგადოებრიობა კმაყოფილებით შეხვდა იმ მოლაპარაკების შედეგებს, რომელსაც მოსკოვში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი აწარმოებდნენ საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან გი მოლესთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან ქ. პინოსთან.

კომენტარს უკეთებს რა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოსკოვის მოლაპარაკებას, გაზეთი „ლიბერასიონი" აღნიშნავს, რომ მოლაპარაკე- [illegible]

[illegible] ბისა და ევროპის უშიშროების პრობლემებზე, მაგრამ „დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა შევიდა ახალ ფაზაში, რომელსაც ახასიათებს მზარდი ნდობა ერთმანეთისადმი".

გაზეთი გამოთქვამს კმაყოფილებას იმის გამო, რომ „ჩაიფუშა ანტისაბჭოთა ხროვის მეცადინეობა, რომ ალჟირის საკითხი საფრანგეთისა და სსრ კავშირს შორის განხეთქილების ვაშლი გამხდარიყო" და რომ „მოსკოვის მოლაპარაკების მონაწილეებმა შეძლეს ყურადღების ცენტრში დაეყენებინათ მთავარი: მათ გამოთქვეს იმედი, რომ საფრანგეთი და სსრ კავშირი შეძლებენ განახორციელონ უფრო აქტიური პოლიტიკა ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის დარგში"...

„აღიარა რა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მთავრობის ცალმხრივ გადაწყვეტილებებს შეამციროს თავისი შეიარაღებული ძალები, — განაგრძობს გაზეთი, — საფრანგეთის მთავრობამ ამით დაგმო ცრუ პროპაგანდა, რომლის სულისჩამდგმელია დალესის უწყება. ეს არის ჯანსაღი გონების გამარჯვება, რომელიც მოასწავებს სხვა ასეთსავე გამარჯვებებს, თუ მშვიდობისათვის ბრძოლა გაგრძელდა და გაფართოვდა მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობის პირობებში, მუშათა კლასისა, რომლის ისტორიული ამოცანა ის არის, რომ მიაღწიოს საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას ხალხთა ინტერესებისა და ჩვენი ეპოქის სულისკვეთების შესაბამისად".

იტალიის პრესაც ფართოდ განიხილავს საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მოღვაწეთა მოლაპარაკების შედეგებს. პრესის ზოგიერთი ორგანო, ანალიზს უკეთებს რა განცხადებას, რომელიც გამოქვეყნდა სსრ კავშირისა და საფრანგეთის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, აღნიშნავს მის მნიშვნელობას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. „ამ დოკუმენტის საერთო ტონი, — წერს გაზეთი „ჯორნო", რომელიც მილანში გამოდის, — შეესაბამება დაძაბულობის შენელების სულისკვეთებას". გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს, რომ განცხადება ადასტურებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს, აგრეთვე მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს, რომლებიც „განვლილ წლებში საფუძვლად დაედო თანამშრომლობას სსრ კავშირსა და ნეიტრალურ სახელმწიფოებს შორის".

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების დამთავრებას დიდ ყურადღებას უთმობენ ინდოეთის გაზეთები. ისინი აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია უკეთესი ურთიერთგაგება საერთაშორისო ურთიერთობის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე.

გაზეთები განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავენ იმ ადგილებს სსრ კავშირისა და საფრანგეთის მთავრობათა დელეგაციების განცხადებაში, სადაც ლაპარაკია ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საჭიროებაზე, ახლო აღმოსავლეთში არსებულ მდგომარეობასა და ალჟირის პრობლემისადმი სამართლიან მიდგომაზე.

[illegible] ბიანი თანაარსებობის პოლიტიკის, საერთაშორისო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაჭრის პოლიტიკის საფუძველზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას, მიაჩნია რა, რომ მისი შედეგები დიდმნიშვნელოვანი წვლილია მშვიდობის საქმეში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში.

„ბერლინერ ცაიტუნგი" მოწინავე სტატიაში სათაურით „ცივი ომის" პოლიტიკის მომხრეებს იმედი გაუცრუვდათ" წერს:

მოსკოვის მოლაპარაკების შედეგები მშვიდობის საქმის გამარჯვებაა. ამას ადასტურებს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნულია ორივე სახელმწიფოს ურთიერთმისწრაფება ურთიერთობის გაუმჯობესებისა და ნდობის განმტკიცებისადმი, მიუხედავად სოციალურ-ეკონომიურ სისტემათა განსხვავებისა.

გაზეთი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მოლაპარაკების მონაწილეთა პოზიციას განიარაღების საკითხში, მათს მზადყოფნას მიაღწიონ იმას, რომ დაიდოს შესაბამისი შეთანხმება.

სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის პოლიტიკა, რომელმაც გაიმარჯვა მოსკოვის მოლაპარაკების დროს, წერს დასასრულ გაზეთი, გაიმარჯვებს მომავალშიც, რადგან იგი შეესაბამება ხალხთა ინტერესებს.

გაზეთი „დერ მორგენი", კომენტარს უკეთებს რა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მოლაპარაკების შედეგებს, აღნიშნავს, რომ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის საბჭოთა პოლიტიკამ ახალი დიდი წარმატება მოიპოვა. (საკდესი).

## საფრანგეთის მინისტრთა საბჭოში

პარიზი, 23 მაისი. (საკდესი). საფრანგეთის პრესის ცნობებით, უპორტფელო მინისტრმა მენდეს-ფრანსმა (რადიკალთა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა) მინისტრთა საბჭოს დღევანდელ სხდომაზე გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება გადადგეს. წერილში, რომელიც გაუგზავნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გი მოლეს, მან ეს გადაწყვეტილება დაასაბუთა იმით, რომ არ ეთანხმება მთავრობის პოლიტიკას ალჟირის საკითხში.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, დღის მეორე ნახევარში გაიმართა რადიკალ მინისტრთა თათბირი, რომელზეც მენდეს-ფრანსმა დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ. დანარჩენი რადიკალი მინისტრები რჩებიან მთავრობის შემადგენლობაში.

## ნერუს გამოსვლა ინდოეთის პარლამენტში

დელი, 23 მაისი. (საკდესი). [illegible]

[illegible] პირველი და არსებითად აუცილებელი ნაბიჯია საომარი მოქმედების შეწყვეტა ალჟირში; ასეთი სურვილი ბოლო დროს გამოთქვეს სხვადასხვა წრეებმა, მათ შორის ორივე მხარემ. იმედი გვაქვს, რომ საფრანგეთის მთავრობა ალჟირში წავა იმ გზით, რომელსაც სასარგებლო შედეგები მოჰყვა მაროკოსა და ტუნისში, და რომ ალჟირელი ხალხი მზად იქნება გამოეხმაუროს".

ნერუმ წამოაყენა შემდეგი წინადადებანი:

„1) ორივე მხარემ ხელი შეუწყოს მშვიდობიანი მიდგომის ატმოსფეროს შექმნას, რისთვისაც [illegible]

[illegible] ლიც ახლა დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდოეთის ეკონომიკაში, საბოლოო ანგარიშით უნდა გაქრეს.

ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სურსათის წარმოების გადიდებას 30 პროცენტით. მან თქვა, რომ ინდოეთმა დიდ პროგრესს უნდა მიაღწიოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

პრემიერ-მინისტრმა პალატის განსახილველად შეიტანა პროექტი რეზოლუციისა, რომელიც იწონებს მეორე ხუთწლიან გეგმაში ჩამოყალიბებულ პრინციპებსა და ამოცანებს.

## საბჭოთა კავშირის გამოფენის წარმატება უხანში

პეკინი, 23 მაისი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დიდი წარმატებით სარგებლობს სსრ კავშირის ეკონომიური და კულტურული მშენებლობის მიღწევების საბჭოთა გამოფენა, რომელიც 5 მაისს გაიხსნა უხანში. იგი უკვე დაათვალიერა 630 ათასზე მეტმა კაცმა, მათ შორის საზღვარგარეთის დელეგაციებმა საბჭოთა კავშირიდან, შვეციიდან, საფრანგეთიდან, იაპონიიდან, ინგლისიდან და სხვა ქვეყნებიდან.

საბჭოთა სპეციალისტებმა, რომლებიც გამოფენაზე მუშაობენ, წაიკითხეს 172 ლექცია და მოხსენება და თხუთმეტჯერ გაიდნენ საწარმოებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ჩინელი მუშებისა და გლეხებისათვის ტექნიკური დახმარების გასაწევად.

გამოფენაზე დიდი პოპულარობით სარგებლობენ საბჭოთა მხატვრული და მეცნიერულ-ტექნიკური ფილმები და კინოჟურნალები, რომლებსაც უჩვენებენ კინოთეატრ „მეგობრობაში". შთაბეჭდილებათა წიგნში გამოფენის დამთვალიერებლებმა გააკეთეს 5,5 ათასამდე ჩანაწერი, რომლებშიც მაღალ შეფასებას აძლევენ გამოფენის ყველა პავილიონს.

## სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრის ინტერვიუ

კაირო, 23 მაისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ალ-აჰრამი" იუწყება, გუშინ დამასკოდან ხართუმში მიმავალმა სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუბარაქ ზარუქმა კაიროში გაზეთის კორესპონდენტს მისცა ინტერვიუ, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საგარეო პოლიტიკის საკითხებში სუდანის ინტერესები ემთხვევა ეგვიპტისა და არაბთა სხვა ქვეყნების ინტერესებს. მან რწმენა გამოთქვა, რომ სუდანის თანამშრომლობა ეგვიპტესთან და არაბთა სხვა ქვეყნებთან ხელს შეუწყობს არაბთა ქვეყნების ლიგის განმტკიცებას, აგრეთვე „მნიშვნელოვანი წვლილი იქნება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში". სუდანი, თქვა ზარუქმა, „ითანამშრომლებს ყველა ქვეყანასთან, რომლებსაც სურთ ჩვენთან თანამშრომლობა".

კითხვაზე სუდანის შეიარაღებული ძალების მდგომარეობის შესახებ, მუბარაქ ზარუქმა უპასუხა: „სუდანი თავისი არმიის შეიარაღების საკითხში ხელმძღვანელობს მხოლოდ საკუთარი ინტერესებით. სუდანი თავისუფალია იარაღი შეიძინოს იმ სახელმწიფოსაგან, ვისგანაც სურს. ჩვენ ვალდებული არა ვართ საქმე ვიქონიოთ რომელიმე გარკვეულ სახელმწიფოსთან ან გარკვეულ ბლოკთან".

## საბავშვო რადიოკვანძი



[illegible]

აქვე რადიოლაბორატორიასთან არის მოწყობილი. აქ წარმოებს ტექსტების, საბავშვო სიმღერებისა და მუსიკალური ნაწარმოებების ჩაწერა. ჩაწერას ახდენენ თვით ნორჩი ტექნიკოსები.

მაგნიტოფირზე ჩაწერილ მასალებს შემდეგ მორიგე ნორჩი რადიოტექნიკოსი რადიოკვანძის მეშვეობით გადასცემს სასახლის რადიოქსელში.

[illegible] ლეთა მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადებისა, აგრეთვე სასახლის მხატვრული ჯგუფების გამოსვლებისა, მოძმე რესპუბლიკების პიონერული სიმღერებისა და სხვ.

* * *

სურათზე: მოსწავლე კონსტრუქტორთა მეცადინეობა სასახლეში.

ფოტო პ. ფილოსიანისა.

## რუსთაველის სახელობის თეატრში

რუსთაველის სახელობის თეატრმა მაყურებელს მორიგ ახალ დადგმად უჩვენა ი. ვაკელის კომედია „საქმიანი კაცი".

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია მ. თუმანიშვილი, მხატვრული გაფორმების ავტორი— სტალინური პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. თავაძე, მუსიკა ეკუთვნის ახალგაზრდა კომპოზიტორ ბ. კვერნაძეს.

მონაწილეობდნენ მსახიობები ე. მანჯგალაძე, ბ. კობახიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. ზაქარიაძე, სტალინური პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ე. აფხაიძე, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. დოლიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები ნ. ლაფაჩი, მ. ჩიხლაძე, მსახიობები ე. ვაჩნაძე, ნ. ჩხეიძე, ა. კუპრაშვილი, მ. მიქელაძე, კ. საკანდელიძე, გურ. სალარაძე და სხვ.

თეატრი ამჟამად დასადგმელად ამზადებს ო. ჩიჯავაძის პიესას „პირველ მერცხლებს".

## ქართული კინოფილმების ფესტივალი

ჩვენი რესპუბლიკის რაიონული ცენტრების კინოთეატრებსა და სასოფლო კლუბებში მიმდინარეობს ქართული კინოფილმების ფესტივალი.

ფესტივალის დროს კოლმეურნეებს, მექანიზატორებსა და სოფლის ინტელიგენციას უჩვენებენ ისეთ ქართულ კინოსურათებს, როგორიც არის „ჭრიჭინა", „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან", „ცისკარა", „მაგდანას ლურჯა", „გიორგი სააკაძე" (I და II სერია), „დავით გურამიშვილი", „არსენა", „დარიკო", „პოეტის აკვანი", „ქაჯანა", „დაკარგული სამოთხე".

ქართული კინოფილმების ფესტივალი გაგრძელდება ივნისის პირველ რიცხვებამდე.

## ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გრძელდება სსრ კავშირის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური შეჯიბრება. ბრძოლა ყოველ ტურში დაძაბული და საინტერესო ხდება. გათამაშების ცხრილში მოჭადრაკეები ხშირად იცვლიან ადგილებს.

ჩვენი ქვეყნის ცნობილ მოჭადრაკე ქალების პარტიებთან ერთად საერთო ყურადღებას იპყრობს ამ შეჯიბრების ახალგაზრდა მონაწილეთა — გაფრინდაშვილის, ტოგონიძისა და ხაჩაპურიძის პარტიები.

გუშინ გათამაშდა მეათე ტური. ტოგონიძემ, რომელიც თეთრებით თამაშობდა კარტულის წინააღმდეგ, ძლიერად ჩაატარა პარტია და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. საერთაშორისო ოსტატმა გურფინკელმა გათამაშების ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა. მან დაამარცხა ტიხომიროვა. გრუდზინსკაიამ მოუგო ნეკრასოვას.

მატვეევა-ხაჩაპურიძის, მიხაილოვა-როოტარეს და ვაისბერგ-ანიშჩენკოს პარტიები ყაიმით დამთავრდა. გაფრინდაშვილი-სილვესტრისა და სტრანდსტრემ-ნევედომსკაიას პარტიები გადაიდო. სილვესტრს გაფრინდაშვილის 4 პაიკის წინააღმდეგ მხედარი და 2 პაიკი ყავს.

ამრიგად, 10 ტურის შემდეგ გურფინკელს 7,5 ქულა აქვს, გაფრინდაშვილს — 7 ქულა და 2 გადადებული პარტია, ტოგონიძეს—7 ქულა.

დღეს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

## ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გარდაბნის რაიონის ახლად დასახლებულ პუნქტს ეწოდა სოფელი ახალი სამგორი და იგი მიეკუთვნა ამავე რაიონის გამარჯვების სასოფლო საბჭოს.

„კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა 27 მაისს.

რედაქტორის მოადგილე **რ. ქურციკიძე.**

## დიდი თანამეგობრობა

საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების ასეულ მილიონობით ადამიანები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი გრანდიოზული მიღწევებით სახელმწიფოებრივი, ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. ჩვენი ეპოქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს ის, რომ სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად იქცა. სოციალისტურ ბანაკს ამჟამად დედამიწის ერთი მეოთხედი უჭირავს. მასში გაერთიანებულია კაცობრიობის მოსახლეობის მესამედზე მეტი. მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში მას მხარში უდგანან კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მილიონობით კეთილი ნების ადამიანები.

ჩვენმა სოციალისტურმა სამშობლომ — საბჭოთა კავშირმა უდიდესი გამარჯვებები მოიპოვა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო და ძალღონეს არ იშურებენ მეექვსე ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის.

სულ ექვსიოდე წელია გასული მას შემდეგ, რაც ჩინეთში სახალხო-დემოკრატიულმა წყობილებამ გაიმარჯვა. ამ ხნის განმავლობაში ჩინელმა ხალხმა თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში.

სწრაფი ტემპებით ავითარებენ თავიანთ მეურნეობას სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებიც. ჩეხოსლოვაკიის მაღაროებში ახლა უფრო მეტი ქვანახშირი ამოაქვთ, ვიდრე საფრანგეთში. ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის გამომუშავებაში ჩეხოსლოვაკიამ გაუსწრო საფრანგეთს, იტალიას, ბელგიას, ხოლო ფოლადის გამოდნობაში უკან ჩამოიტოვა ინგლისი. რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამრეწველო წარმოებამ 2-3-5-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს. დიდი მიღწევები აქვთ სახალხო მეურნეობის განვითარებაში პოლონეთს, ალბანეთს, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას და მონღოლეთს.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ტერიტორიებზე ყველგან ჩანს ახალმშენებლობათა ხარაჩოები, ახალი ელექტროსადგურები, ფაბრიკები, ქარხნები, რკინიგზები. ახლა ყველასათვის ცნობილია ამ ქვეყნების სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვების განუწყვეტელი ზრდა, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობა, ეროვნული კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავება.

უდიდეს როლს ამ გამარჯვებაში თამაშობს სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების ურღვევი მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა. საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილების გაზიარება სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სწრაფი წინსვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. დნეპროპეტროვსკისა და მაგნიტოგორსკის მაგალითზე წარმოიქმნენ ანშანისა და დიმიტროვგრადის, ვარშავისა და ბუდაპეშტის, ოსტრავისა და კრაკოვის სამრეწველო გიგანტები. საბჭოთა ჰიდროენერგეტიკოსების გამოცდილებით შეიარაღებულნი მიადგნენ ჩინელი, ბულგარელი, რუმინელი და ალბანელი ენერგეტიკოსები იანძისა და დუნაის, ბისტრიცისა და მატის ნაპირებს. ჩვენი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გამოცდილება დიდად ეხმარება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს კერძო გლეხური წარმოების კოოპერირებაში. აღტაცებით ხვდებიან ჩინელი, კორეელი და ვიეტნამელი გლეხები ელექტროშუქის პირველ გაბრწყინებას თავიანთ ქოხებში.

დღითიდღე იზრდება და მტკიცდება ეკონომიური თანამშრომლობა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს შორის. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, ეხმარებიან მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვაში. საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად ჩამოდიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის დარგის მუშაკები და ეცნობიან ჩვენი ქვეყნის მიღწევებს. საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში იწრთობიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან წარმოგზავნილი ახალგაზრდა კადრები. საწარმოებსა და დაწესებულებებში საწარმოო პრაქტიკას გადიან დემოკრატიული ქვეყნების სპეციალისტები.

ამ მხრივ ბევრი რამ საინტერესო კეთდება ჩვენს რესპუბლიკაშიც. მარტო გასულ წელს საქართველოში უცხოეთის ასზე მეტი დელეგაცია ჩამოვიდა, მათ შორის ორმოცამდე — სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან. დელეგაციის წევრები სწავლობდნენ ჩვენი საწარმოო დაწესებულებების, ფაბრიკებისა და ქარხნების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობას, ეცნობოდნენ მუშებისა და კოლმეურნე გლეხების საყოფაცხოვრებო პირობებს.

ჩინელ რკინიგზელთა დელეგაციამ გულდასმით შეისწავლა ქართველ რკინიგზელთა გამოცდილება სამთო რკინიგზების ელექტროფიკაციის დარგში. ენერგეტიკოსები დაწვრილებით გაეცნენ საკოლმეურნეო ელექტროსადგურების მუშაობას. მეტალურგები დაინტერესდნენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაობით, პროფკავშირულმა დელეგაციამ კი მთავარი ყურადღება მიაპყრო გორის ბამბეულის კომბინატის მუშაობას.

ჩინელ სპეციალისტებს გულთბილად შეხვდნენ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურენი, რომელთა შორის ბევრი იყო ანშანის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობის მონაწილე.

გუანსის პროვინციის მთიანი რაიონის გლეხებმა წერილი მოსწერეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეებს და სთხოვეს გაეზიარებინათ მათთვის მთიან რაიონებში კოლმეურნეობათა მოწყობის გამოცდილება. აფხაზეთის კოლმეურნეებმა ვრცელი და შინაარსიანი პასუხი გაუგზავნეს თავიანთ ჩინელ მეგობრებს.

ფზენიანის საფეიქრო კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა წერილი და გარდამავალი დროშა გამოუგზავნეს თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატს. ამ შემთხვევის გამო გამართულ მიტინგზე მქსოველმა ქალმა ლ. ჯეირანაშვილმა განაცხადა, რომ კომბინატის მუშები ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა მათი კომბინატი მომავალშიც დედაქალაქის მოწინავე საწარმოთა რიგებში იდგეს. ფხენიანის საფეიქრო მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშების მიმართვას ერთსულოვნად გამოეხმაურნენ კიროვის სახელობის ქარხნის ახალგაზრდა მუშები. მათ წერილები და ქარხნის ყოფაცხოვრების ამსახველი ფოტოალბომები გაუგზავნეს კორეელ ამხანაგებს.

მტკიცედ მიდიან რა თავიანთ ქვეყანაში მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების გზით, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სპეციალისტები დიდი ინტერესით ეცნობიან სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშაობას. სოციალისტური ბანაკის თითქმის ყველა ქვეყნიდან ჩამოსული დელეგაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ რუსთავის ქარხნის დათვალიერებას. აქ გადიოდნენ საწარმოო პრაქტიკას რუმინელი მეტალურგები.

უნგრეთის განთავისუფლების მე-11 წლისთავთან დაკავშირებით მოწვეულ იქნა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, რომლის მონაწილეებმა მიმართვა გაუგზავნეს სტალინვაროშის მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს და გააცნეს თავიანთი ქარხნის შრომითი მიღწევები.

გულითადი მიწერ-მოწერა აქვთ უნგრელ კოლმეურნე ქალებს გარეუბნის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებთან. ამას წინათ ქართველმა კოლმეურნეებმა ორმოცზე მეტი წერილი მიიღეს ალბანეთიდან. თავიანთ წერილებში ალბანელი გლეხები ქართველ მეგობრებს სთხოვდნენ გაეზიარებინათ გამოცდილება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ალბანელ კოლმეურნეებს საპასუხო წერილები გაეგზავნათ.

ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურში ერთი წლის განმავლობაში საწარმოო პრაქტიკაზე იყვნენ ალბანელი სტუდენტები. ისინი გარდა თავიანთი სპეციალობისა, საკმაოდ დაეუფლნენ ქართულ ენასაც.

თბილისის ბევრი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და საწარმო ასრულებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან მიღებულ შეკვეთებს. ქართველ ინჟინერთა და სპეციალისტთა ჯგუფი იყო ვიეტნამში, იქ მათ ვიეტნამელ მეგობრებს დახმარება გაუწიეს ჩაის ახალი ფაბრიკის მშენებლობაში. ამ ფაბრიკის თითქმის მთელი მოწყობილობა დამზადებულია საქართველოს ქარხნების მიერ.

დიდი ყურადღება ექცევა ხალხთა კულტურული მიღწევების ურთიერთგაცნობას. ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ჩინელი, უნგრელი, ბულგარელი, პოლონელი, გერმანელი, ჩეხი და რუმინელი მწერლების ცალკეული ნაწარმოებები. ქართულ ენაზე გვაქვს გამოცემული გო მო-ჟოს, დინ ლინის, ბოტევის, ვაზოვის, ემინესკუს, პეტეფის, ფუჩიკის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სხვა გამოჩენილი მწერლების ნაწარმოებები. გერმანულ, ჩინურ, უნგრულ და პოლონურ ენებზე გამოიცა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". დიდი ყურადღება ექცევა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ქართველი საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა თარგმნას. მრავალ ენაზეა თარგმნილი ლ. ქიაჩელის, გ. ლეონიძის, ალ. ჩეიშვილის, ირ. აბაშიძის, ი. ლისაშვილის, თ. დონჯაშვილის და სხვათა ნაწარმოებები.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში ხშირად უჩვენებენ ქართულ ფილმებს, დგამენ ქართველი დრამატურგების პიესებს, ასრულებენ ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებს. თბილისში დიდი წარმატებით გამოდიოდნენ გერმანელი, უნგრელი, ბულგარელი და რუმინელი მსახიობები. გაიმართა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კინოფილმების რამდენიმე ფესტივალი, მოეწყო რუმინელი ხალხის ყოფაცხოვრების ამსახველი, ჩინეთის მხატვრობის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წიგნის გამოფენები.

ასეთი გაცხოველებული კულტურული ურთიერთობა ხელს უწყობს სოციალისტური ბანაკის მოძმე ხალხთა შორის მჭიდრო კავშირისა და მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

**მ. კვესელავა.**


თბილისის „დინამოს" სტადიონი

28 მაისს

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის პირველობა „ა" კლასის გუნდებს შორის

**ოფიცერთა საოლქო სახლი (სვერდლოვსკი) — „დინამო" (თბილისი)**

ძირითადი შემადგენლობანი

დასაწყისი 6 ს. 30 წ.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება 26 მაისს დილის 10 საათიდან „დინამოს" სტადიონის სალაროებში.

**დღეს თბილისის თეატრებში**

**ოპერისა და ბალეტის** — მევიოლინე ისააკ სტერნის (ამერიკა) კონცერტი, **რუსთაველის სახელობის** — ოიდიპოს მეფე, **მარჯანიშვილის სახელობის**—ზვავი, **გრიბოედოვის სახელობის** — პირველი გაზაფხული, **სომხური დრამის** — კამო, **მუსიკალური კომედიის** — ლიღი ქარი, **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — უჩინარი დიმა (10 ს. და 4 ს.).

**კინოთეატრებში**

**რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი** (საზამთრო), **სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — იუდიტ ბენდიჩის დანაშაული, **კომკავშირელი, კოლმეურნე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — უნივერმაღის ვიტრინის იქით, **კოლხიდა** (საზამთრო). **ოფიცერთა სახლი** — ისინი იყვნენ პირველნი, **კოლხიდა** (საზაფხულო) — მექსიკელი, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — სისხლიანი გზა, **დიდუბე** (საზამთრო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — საქმე № 306. **კიროვის სახელობის პარკი** — სამსახური, **ფილარმონიის ბაღი**— ისინი ხუთნი იყვნენ.


მოქალაქე **ვლადიმერ სიმონის-ძე ავდოევმა,** მცხოვრებმა ქ. თბილისში, ათარბეგოვის ქ. № 6, აღძრა საქმე ქ. მოსკოვში, ლადოგასკაიას ქ. № 7 მცხოვრებ მოქალაქე **ელისაბედ კონსტანტინეს ასულ ევსტარატოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **გაბრიელ იოსების-ძე ეგიაზაროვმა,** მცხოვრებმა სოფელ ტაბახმელაში, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ანეტა გიორგის ასულ ეგიაზაროვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის გარეუბნის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ვიქტორ, შვილები ლოლა, აკაკი, რძალი ქეთო, სიძე ნ. ჩაჩანიძე შვილებით იუწყებიან

**ელპიტე გრიგოლის ასულ ობოლაძე-ბრეგვაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25-V, 8 ს. გამოსვენება 26-V, 4 ს. ბინიდან, ყიზლარის შესახვევი № 1.

დედა ნინო, მეუღლე თამარ, შვილი მზია, დები საშა, თამარ, ძმები კლიმენტი, ვარლამ, შალვა, რძლები რაისა, ანგელინა, ნინო, სიძეები რ. მგელაძე, დ. ქინქლაძე ოჯახებით იუწყებიან

**დავით პავლეს-ძე ცომაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-V, 8 ს. გამოსვენება 27-V, 3 ს. ბინიდან, კალინინის ქ. № 8.

შვილები ალექსანდრე, ნინო, რძალი ელენე, სიძე ს. ბუჯიაშვილი და შვილიშვილები იუწყებიან

**გრიგოლ მალაქიას-ძე მირიანაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25-V, 8 ს. გამოსვენება 26-V, 5 ს. ჩახრუხაძის ქ. № 14.

დედა ბარბარე, მამა ალექსანდრე ოჯახით, ძმა თეიმურაზ, და ეთერ, სიძე პ. კუჭუხიძე იუწყებიან

**თამარ ალექსანდრეს ასულ სონღულაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25-V, 8 ს. გამოსვენება 26-V, 6 ს. ადიგენის შესახვევი № 8 (მოლოტოვის რაიონი).

უე 03815

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.